პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის __ თებერვალი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთითვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — არჩილ ღიბრაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-48260413**
თარიღი: **10/02/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ ანგარიშს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობების შესახებ.

დანართი -44- ფურცელი

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

1. შესავალი.

შიდა აუდიტის არსია, დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებასა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისაკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ. შიდა აუდიტი აფასებს და აუმჯობესებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სიტემას, რისკების მართვის ეფექტიანობას, რაც შესაბამისად აუმჯობესებს დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას.

შიდა აუდიტი ახორციელებს შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც ეხმარება დაწესებულების ხელმძღვანელს მართვის პროცესის მიზნების მიღწევაში და საჯარო დაწესებულებაში შესაბამისი ეთიკის და ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში. შიდა აუდიტორული საქმიანობა გულისხმობს რისკის გამოვლენას და რისკების შეფასებას, ხელს უწყობს რისკების ეფექტურ მართვას და კონტროლის სისტემების დახვეწას ეფექტური კონტროლის შესანარჩუნებლად, კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესწავლას და მათი უწყვეტი განვითარების ხელშეწყობას.

შიდა აუდიტის მიზნებია:

- სტრატეგიული და წლიური გეგმების მომზადება რისკების შეფასების საფუძველზე, რომელთაც შეუძლიათ საფრთხის ქვეშ დააყენონ დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასება და შესწავლა ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით დაწესებულების წინაშე არსებული ამოცანების შესასრულებლად;

- ხელმძღვანელობის ინფორმირება მიგნებების და დასკვნების შესახებ და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების და წყალტუბოს მუნიციპლიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების საფუძველზე, ასევე, თავის საქმიანობაში იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსს, შიდა აუდიტის სტანდარტებს.

სტანდარტები მოითხოვს აუდიტორების მიერ ეთიკის კოდექსის დაცვას, აუდიტის დაგეგმვას და წარმართვას იმგვარად, რომ აუდიტორული შემოწმების შედეგად დადგინდეს შეესაბამება თუ არა ორგანიზაციის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედ კანონმდებლობას.

შიდა აუდიტის სამსახური, სამსახურეობრივ უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობას ახორციელებს მერის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული და წლიური გეგმების შესაბამისად.

2. მოკლე მიმოხილვა.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში განხორციელდა 2 (ორი) შიდა აუდიტორული შემოწმება: 1 (ერთი) შესაბამისობის და 1(ერთი) ეფექტიანობის აუდიტი.

ეფექტიანობის აუდიტი განხორციელდა ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის ,,სოციალური პროგრამები"

შესაბამისობის აუდიტი ჩაუტარდა:

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"- ს

➢ აუდიტის ობიექტი N1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის ,,სოციალური პროგრამები“

მიგნებები და რეკომენდაციები

1.1 აუდიტის პირველი მიზანი (AO1) - კითხვა: პროცესების ფარგლებში დაგეგმილ რესურსები შეესაბამება თუ არა მიზნებს და გადანაწილებულია თუ არა რაციონალურად?

1.1.1 ქვეკითხვა - რამდენად კარგად/ადეკვატურად არის დაგეგმილი და ორგანიზებული პროგრამის ბიუჯეტისა და ბენეფიციართა რაოდენობის განსაზღვრის პროცესი?

მიგნება N1

შესწავლით დადგინდა, რომ ქვეპროგრამების - ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“ (პროგრამული კოდი 06 02 03) და ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი“ (პროგრამული კოდი 06 02 04) 2024 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში სათანადოდ არ იქნა გამოყენებული წინა წლის შესრულების მონაცემები და მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებების ანალიზის შედეგები. აღნიშნულზე მიუთითებს ის გარემოება, რომ მათი 2024 წლის ბიუჯეტების საწყისი მოცულობები მნიშვნელოვნად აღემატებოდა წინა წლის შესრულების მაჩვენებლებს, ხოლო წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა საწყის მაჩვენებლებთან შედარებით.

ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, 2023 წელს ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“ (პროგრამული კოდი 06 02 03) შესრულება შეადგენდა 79700 ლარს, მიუხედავად ამისა, 2024 წლის საწყისი ბიუჯეტით აღნიშნული ქვეპროგრამა დაიგეგმა 130000 ლარით (+63% ზრდა), ხოლო 2024 წლის ბიუჯეტის ბოლო რედაქციით შემცირდა 72700 ლარამდე (–44%, კლება); 2023 წელს ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი“ (პროგრამული კოდი 06 02 04) შესრულება შეადგენდა 8250 ლარს, ხოლო 2024 წლის საწყისი ბიუჯეტით აღნიშნული ქვეპროგრამა დაიგეგმა 20000 ლარით (+142% , ზრდა), ხოლო 2024 წლის ბიუჯეტის ბოლო რედაქციით შემცირდა 12800 ლარამდე (–36%, კლება).

„მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარება“ 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას თავდაპირველად შედიოდა ქვეპროგრამაში „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება“ (პროგრამული კოდი 06 02 05). 2024 წლის 26 აპრილს აღნიშნული დახმარება გამოიყო ცალკე ქვეპროგრამად და მისი ბიუჯეტი განისაზღვრა 12000 ლარით. ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარება“ (პროგრამული კოდი 06 02 12) ბიუჯეტი 2025 წლისთვის განისაზღვრა 12000 ლარით, მაშინ როცა 2024 წელს აღნიშნული დახმარებისათვის საერთო ჯამში გაიცა 3600 ლარი, შესაბამისად, 2025 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი წინა წლის ფაქტობრივ შესრულებას დაახლოებით 233%-ით აღემატება.

გამოვლენილი გარემოებები ადასტურებს, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში სათანადოდ არ გამოიყენებოდა წინა წლის შესრულების მონაცემები და მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებების ანალიზის შედეგები, რის შედეგადაც აღნიშნული ქვეპროგრამების ბიუჯეტის საწყისი მოცულობები განისაზღვრა არასაკმარისად რეალისტური გათვლებით.

მიგნება N2

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მიხედვით, გადაწყვეტილებას, თუ რა დონეზე ჩაშლილად იქნება წარმოდგენილი წლიურ ბიუჯეტში პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები და ღონისძიებები იღებს თვითმმართველი ერთეული. ამასთან, გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ წლიური ბიუჯეტში მოცემული ინფორმაცია შეძლებისდაგვარად სრულყოფილ და ნათელ წარმოდგენას უნდა იძლეოდეს ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების მიზნობრიობაზე.

შესწავლით დადგინდა, რომ ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება“ ფარგლებში გაიცემა 23 სხვადასხვა სახის დახმარება, რომლებიც განეკუთვნება სოციალური დაცვის რამდენიმე განსხვავებულ მიმართულებას , მათ შორის:

- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის მიმართულებას;
- ომის მონაწილეთა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის მებრძოლთა სოციალური დაცვის მიმართულებას;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სოციალური დაცვის მიმართულებას;
- ჯანმრთელობის მდგომარეობითა და სამედიცინო დიაგნოზით განპირობებული სოციალური დაცვის მიმართულებას;

აღნიშნული სოციალური დაცვის მიმართულებების შინაარსი, ფუნქციონალური დანიშნულება, მიზანი და მიზნობრივი ჯგუფები ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება. გარდა ამისა, ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცემა რამდენიმე სხვა სახის დახმარებაც (სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება; ხანდაზმულთა სპეციალიზირებულ დაწესებულებაში დროებით გადაყვანასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება; ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირის დახმარება; ჩერნობილის ატომური

ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირის დახმარება), რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებს არ მიეკუთვნება.

ასევე გამოვლინდა, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცემა ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა ყოველთვიური დახმარება, რომელიც თავისი პერიოდული ხასიათით არ შეესაბამება ერთჯერადი ფულადი დახმარებების ქვეპროგრამის სპეციფიკას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეპროგრამას მინიჭებული აქვს ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი - 7109, რომელიც წარმოადგენს ,,სხვა არაკლასიფიცირებულ საქმიანობას სოციალური დაცვის სფეროში'', თუმცა მისი შინაარსი მოიცავს ისეთ მიმართულებებს, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებულ იქნას სოციალური დაცვის სფეროს უფრო სპეციფიკურ და ზუსტად დეფინიცირებულ მუხლებთან.

ანალოგიურად ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება" ფარგლებში გაიცემა დახმარებები, რომელთა შინაარსი, ფუნქციონალური დანიშნულება, მიზანი და მიზნობრივი ჯგუფები ერთმანეთისგან განსხვავდება.

განსხვავებული შინაარსისა და მიზნობრიობის მქონე დახმარებების ერთი ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემა ართულებს ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების მიზნობრივი დანიშნულების ზუსტ იდენტიფიცირებას, ამცირებს დაგეგმვისა და შესრულების შედეგების შეფასების სიზუსტეს და ზღუდავს ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას.

მიგნება N3

შესწავლით დადგინდა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით, პროგრამა „სოციალური პროგრამები" (06 02) მოიცავს ქვეპროგრამას „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება", რომლის მიზნად განსაზღვრულია „ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა". აღნიშნული მიზანი წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სფეროს (06 01 პროგრამული კოდი) ტიპურ და უშუალო მიზანს. ამ მიზნის გამოყენება სოციალური დაცვის პროგრამულ კოდში (06 02) ქმნის ფუნქციურ შეუსაბამობას, რადგან სოციალური დაცვის სფეროს ფუნქციაა მოსახლეობისათვის ფინანსური ტვირთის შემცირება, სოციალური რისკების მართვა და სოციალური საჭიროებების კომპენსირება, რაც მიმართულია სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ და არ ემსახურება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე პირდაპირ ზეგავლენას.

მიგნება N4

შესწავლით დადგინდა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით, პროგრამა „სოციალური პროგრამები" (06 02) მოიცავს ქვეპროგრამას „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისათვის ყოველთვიური სტიპენდია", რომლის მიზანია

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა (აკადემიური წარმატების წახალისება). აღნიშნული მიზანი თავისი შინაარსით არ წარმოადგენს სოციალური დაცვის სფეროს კომპეტენციას, რადგან სოციალური დაცვის პროგრამები მიზნად ისახავს სოციალური რისკების შემცირებას, ბენეფიციართა ფინანსური ტვირთის შემსუბუქებას და სოციალური საჭიროებების კომპენსირებას. შესაბამისად, ქვეპროგრამა არ უნდა იყოს განთავსებული პროგრამულ კოდში 06 02, ვინაიდან მისი მიზანი და შინაარსობრივი დატვირთვა არ შეესაბამება სოციალური დაცვის სფეროს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეპროგრამას მინიჭებული აქვს ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი 7104 („ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა"), მიუხედავად იმისა, რომ მისი ფაქტობრივი ფუნქცია არ შეესაბამება ამ კოდით განსაზღვრულ ფუნქციურ მიმართულებას.

მიგნება N5

ქვეპროგრამას „სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების დახმარება" მინიჭებული აქვს ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი 7101 - „ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა". აღნიშნული კლასიფიკაცია არ შეესაბამება ქვეპროგრამის შინაარსს, რადგან ქვეპროგრამის აღწერის მიხედვით, დახმარება გაიცემა საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისთვის და არ არის მიმართული ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობით ან შშმ სტატუსით განპირობებული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

ქვეპროგრამას ,,სპეციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის, მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან/მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებული ბავშვების ფინანსური დახმარება" მინიჭებული აქვს ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი 7106 - ,,საცხოვრებლით უზრუნველყოფა." აღნიშნული კლასიფიკაცია არ შეესაბამება ქვეპროგრამის შინაარსს, რადგან ქვეპროგრამის აღწერის მიხედვით, დახმარება გაიცემა წელიწადში ორჯერ ოჯახის გაძლიერების მიზნით და უშუალოდ არ არის მიმართული საბინაო ხარჯების ანაზღაურებაზე, თავშესაფრით უზრუნველყოფაზე, ბინის ქირის დაფარვაზე ან სხვა იმ საჭიროებებზე რეაგირებაზე, რომლებიც 7106 კოდით განსაზღვრული მიმართულებისთვის არის დამახასიათებელი.

მიგნება N6

შესწავლით დადგინდა, რომ ქვეპროგრამის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება" მიზანი ფორმულირებულია, როგორც „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების თანადგომა და მხარდაჭერა". ქვეპროგრამის დასახელებაში გამოყენებული ტერმინი „განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახები" ასოცირდება ოჯახებთან, რომელთაც ახასიათებთ მაღალი სოციალური და ეკონომიკური დაუცველობა. თუმცა,

აღნიშნული ტერმინი მკაფიოდ არ განსაზღვრავს, ვინ მოიაზრება ქვეპროგრამის მიზნობრივ ჯგუფში და რა ტიპის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებებს შეეხება დახმარება. ამასთან, ქვეპროგრამის მიზანში გამოყენებული ტერმინი „კრიზისული მდგომარეობა" გულისხმობს გადაუდებელ, მაღალი სოციალური რისკის შემცველ შემთხვევებს, მაშინ როცა ქვეპროგრამის აღწერის მიხედვით, ფულად დახმარებას იღებენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან მძიმე სოციალურ - ეკონომიურ მდგომარეობაში და/ან საჭიროებენ დახმარებას.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ქვეპროგრამის დასახელება და მისი რეალური შინაარსი შეესაბამება ერთმანეთს, თუმცა მიზანი „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების თანადგომა და მხარდაჭერა" უფრო ვიწრო მნიშვნელობისაა და არ მოიცავს იმ მხარდაჭერას, რომელსაც ქვეპროგრამა რეალურად უზრუნველყოფს ოჯახებისთვის, რომლებიც კრიზისულ მდგომარეობაში არ იმყოფებიან, მაგრამ მძიმე სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის გამო საჭიროებენ დახმარებას.

ქვეპროგრამა ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება" მიზანი ფორმულირებულია, როგორც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ხანდაზმული მოქალაქეების თანადგომა და მხარდაჭერა. აღნიშნული მიზანი განსაზღვრავს ფართო მიზნობრივ ჯგუფს (ყველა ხანდაზმული მოქალაქე), მაშინ როცა ქვეპროგრამის აღწერის მიხედვით, ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაიცემა მხოლოდ 100 და მეტი წლის ასაკის პირებისთვის. აღნიშნული გარემოება მიუთითებს ქვეპროგრამის მიზანსა და მის ფაქტობრივ შინაარსს შორის შეუსაბამობაზე.

მიგნება N7

შესწავლით დადგინდა, რომ რამდენიმე ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შუალედური შედეგი იდენტურ ან მნიშვნელოვნად მიახლოებულ ფორმულირებას ატარებს. მაგალითად:

- ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება" მიზანი და მოსალოდნელი შუალედური შედეგი ერთნაირად არის ჩამოყალიბებული - „ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა".
- ქვეპროგრამის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისათვის ყოველთვიური სტიპენდია" მიზანია „წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა", ხოლო მოსალოდნელი შუალედური შედეგი – „წარჩინებული სტუდენტების თანადგომა და მხარდაჭერა".

აღნიშნული არ შეესაბამება პროგრამული ბიუჯეტირების პრინციპებს, რომლის მიხედვითაც მოსალოდნელი შუალედური შედეგი უნდა ასახავდეს იმ კონკრეტულ, ნათლად განსაზღვრულ და გაზომვად ცვლილებას, რომლის მიღწევაც ქვეპროგრამის განხორციელებით არის მოსალოდნელი. მიზნისა და შუალედური შედეგის იდენტური ან მნიშვნელოვნად მიახლოებული ფორმულირება ართულებს ქვეპროგრამის პროგრესის მონიტორინგს და მიღწეული შედეგების ობიექტურ შეფასებას.

მიგნება N8

შესწავლით დადგინდა, რომ ქვეპროგრამაში ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ასევე უსახლკარო / მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენა SDG მიზანი 9 (მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა) გამოყენებულია შინაარსობრივად შეუსაბამოდ, რადგან ქვეპროგრამა მიმართულია მოწყვლადი ჯგუფების სოციალური პრობლემის მოგვარებაზე და არა მუნიციპალიტეტის სამრეწველო, საინოვაციო ან ძირითადი ინფრასტრუქტურის გაძლიერებაზე.

ქვეპროგრამაში ,,სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების დახმარება" SDG მიზანი 3 (ჯანსაღი ცხოვრების და კეთილდღეობის უზრუნველყოფა) გამოყენებულია შინაარსობრივად შეუსაბამოდ, რადგან ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაიცემა საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის და არ უკავშირდება ჯანმრთელობის დაცვასა და კეთილდღეობის ხელშეწყობას, როგორც ამას SDG 3 განსაზღვრავს.

რეკომენდაცია N1

მიზანშეწონილია, დაინერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფს ქვეპროგრამების წინა წლის შესრულების მონაცემებისა და მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებების ანალიზის შედეგების გათვალისწინებას, ასევე შესაბამისობას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. დაგეგმვის ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ემყარებოდეს წინა წლის შესრულების მონაცემებსა და მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებების შეფასებას, რათა ბიუჯეტის საწყისი მოცულობები განისაზღვროს რეალისტური და ადეკვატური გათვლებით და თავიდან იქნას აცილებული წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი კორექტირებები. ასეთი მიდგომა გაუმჯობესებს ბიუჯეტის დაგეგმვის ხარისხს და უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების უფრო ზუსტ და დასაბუთებულ განაწილებას.

რეკომენდაცია N2

მიზანშეწონილია, შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა გადახედონ ბიუჯეტის პროგრამას ,,სოციალური პროგრამები" და განახორციელონ საჭირო ცვლილებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- შეფასდეს თითოეული ქვეპროგრამის მიზნისა და შინაარსის შესაბამისობა იმ პრიორიტეტსა და პროგრამასთან, რომელშიც იგი არის კლასიფიცირებული. შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელდეს საჭირო კორექტირებები პროგრამული კლასიფიკაციის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- გადაიხედოს ის ქვეპროგრამები, რომლებიც მოიცავს ერთმანეთისგან მიზნობრივად და შინაარსობრივად განსხვავებულ დახმარებებს. შეფასების შედეგების საფუძველზე

მიზანშეწონილია მათი სტრუქტურული ოპტიმიზაცია - მათ შორის, განსხვავებული მიმართულებების გამიჯვნა და მიზნობრივად თანხვედრი ცალკეული ქვეპროგრამების ფორმირება.

- შეფასდეს ქვეპროგრამებისთვის მინიჭებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდების შესაბამისობა ქვეპროგრამების მიზნებსა და შინაარსთან და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს მათი კორექტირება.
- უზრუნველყოფილ იქნას ქვეპროგრამების დასახელებების, მიზნებისა და შინაარსის ერთმანეთთან შესაბამისობა. თითოეული ქვეპროგრამის მიზანი უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ სათანადოდ ასახავდეს ქვეპროგრამის შინაარსს და მის ფარგლებში განსაზღვრულ ღონისძიებებს, მიზნის მასშტაბი არ უნდა იყოს არარელევანტურად გაფართოებული ან ზედმეტად შეზღუდული.
- განხორციელდეს ქვეპროგრამებისთვის განსაზღვრული მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) შესაბამისობის გადახედვა და შეფასება. შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, მიზნები დაკორექტირდეს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა ქვეპროგრამის შინაარსთან და ფუნქციურ მიმართულებასთან.
- გადაიხედოს ქვეპროგრამების მოსალოდნელი შუალედური შედეგები. საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდეს მათი დაზუსტება ან შეცვლა ისე, რომ ისინი იყოს მკაფიო, კონკრეტული, გაზომვადი და სათანადოდ ასახავდეს იმ ცვლილებას, რომლის მიღწევასაც ქვეპროგრამის განხორციელება ისახავს მიზნად.

2.1.2 ქვეკითხვა - არსებობს თუ არა პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსის განსაზღვრისთვის შესაბამისი საფუძვლები, ადეკვატურად დაგეგმისთვის საჭირო ინფორმაცია?

მიგნება N1

შესწავლით დადგინდა, რომ ქვეპროგრამების ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი საჭიროებს ანალიტიკური და პროცედურული კომპონენტების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ბენეფიციარების მონაცემთა ბაზები, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მათი ანალიტიკური გამოყენება დოკუმენტურად არ არის დადასტურებული. ასევე, დაგეგმვის პროცესში დოკუმენტურად არ დასტურდება ისეთი დამატებითი ინფორმაციის გამოყენება, როგორიცაა მიზნობრივი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების შეფასებები ან მოთხოვნის ტენდენციების ანალიზი.

მიგნება N2

შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო დატვირთვა არათანაბრადაა გადანაწილებული. გარკვეულ თანამშრომლებს მნიშვნელოვნად მაღალი სამუშაო დატვირთვა, რაც მიუთითებს სამუშაო დატვირთვის არსებული განაწილების გადახედვის საჭიროებაზე.

რეკომენდაცია N3

მიზანშეწონილია, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გაძლიერდეს ანალიტიკური კომპონენტი, მათ შორის, გამოყენებულ იქნას ბენეფიციართა მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაცია, მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებების უფრო დეტალური კვლევები, მათი სოციალური-ეკონომიკური საჭიროებების შეფასებები და მოთხოვნის ტენდენციების ანალიზი. აღნიშნული მიდგომის დანერგვა უზრუნველყოფს ბიუჯეტის უფრო რეალისტურ და ადეკვატურ მონაცემებზე დაფუძნებულ დაგეგმვას, რაც ხელს შეუწყობს ქვეპროგრამების ეფექტიანობის ზრდას.

რეკომენდაცია N4

მიზანშეწონილია, პროგრამა „სოციალური პროგრამების" ფარგლებში შეფასდეს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის თანამშრომელთა შორის სამუშაო დატვირთვის არსებული განაწილება და, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

2.1.4 ქვეკითხვა - რამდენად კარგად / ადეკვატურად არის განსაზღვრული პროგრამით გათვალისწინებული დახმარების სახეები და მოცულობა და რამდენად შეესაბამება მიზნობრივი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებსა და პროგრამის მიზნებს; უზრუნველყოფს თუ არა ეს შერჩევა პროგრამის მიზნების ეფექტიან მიღწევას და ყველა მიზნობრივი ჯგუფის სათანადო დაფარვას და არსებობს თუ არა ისეთი ალტერნატიული მხარდაჭერის ფორმები, რომლებიც შესაძლოა უფრო ეფექტიანად პასუხობდეს მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებებს და პროგრამის მიზნებს?

მიგნება N1

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსების" ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს 1000 ლარისა, თანადაფინანსება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირებისთვის კი ორჯერ. თანადაფინანსების აღნიშნული ერთიანი წესი ვრცელდება ყველა ბენეფიციარზე მათი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების განსხვავებული დონეების გათვალისწინების გარეშე. აღნიშნული მიდგომა ვერ უზრუნველყოფს სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვას, რადგან ერთნაირ პირობებში აყენებს როგორც დაბალშემოსავლიან და მაღალი რისკის ჯგუფებში მყოფ პირებს, ისე შედარებით უკეთესი სოციალური მდგომარეობის მქონე პირებს, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის დაკისრებული ფინანსური ტვირთი რეალურად განსხვავებული მასშტაბისაა.

შედარებითი ანალიზით დადგინდა, რომ სხვა მუნიციპალიტეტებში მოქმედი შესაბამისი ქვეპროგრამები უკეთ პასუხობს სოციალური სამართლიანობის პრინციპს. კერძოდ, რუსთავის მუნიციპალიტეტში თანადაფინანსების პირობები დიფერენცირდება ბენეფიციართა შემოსავლის დონის, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის სარეიტინგო ქულისა და სამედიცინო მომსახურების სახეობის მიხედვით. ქუთაისის მუნიციპალიტეტში კი ქვეპროგრამით სარგებლობა ხელმისაწვდომია მხოლოდ განსაზღვრული სამიზნე ჯგუფებისთვის,როგორიცაა 0–6 წლამდე ბავშვები, შშმ პირები, მარტოხელა მშობლები და მათი არასრულწლოვანი შვილები, მრავალშვილიანი მშობლები და მათი არასრულწლოვანი შვილები, სოციალურად დაუცველები, ასაკის პენსიონერები და სხვა მოწყვლადი კატეგორიები.

მიგნება N2

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე (ჰემოდიალიზსა და პერიტონეულ დიალიზზე) დამოკიდებული მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფს ერთჯერად ფულად დახმარებას 2000 ლარის ოდენობით. დიალიზი წარმოადგენს სიცოცხლისთვის აუცილებელ, მუდმივ სამკურნალო პროცედურას, რომელიც პაციენტებისგან მოითხოვს კვირაში რამდენჯერმე ვიზიტს სამედიცინო დაწესებულებებში, შესაბამისად, დაკავშირებულია რეგულარულ სატრანსპორტო, კვებისა და სხვა ხარჯებთან. არსებული დახმარების ერთჯერადი ხასიათიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ მიღებული თანხა ბენეფიციარებმა მოკლევადიან პერიოდში სრულად დახარჯონ. შედარებითი ანალიზით დადგინდა, რომ სხვა მუნიციპალიტეტებში (მაგალითად, რუსთავი, ქუთაისი) მსგავსი დახმარება გაიცემა ყოველთვიურად, რაც ბენეფიციარებისთვის უზრუნველყოფს უფრო სტაბილურ ფინანსურ მხარდაჭერას და ამცირებს რესურსების არაეფექტიანი გამოყენების რისკს.

მიგნება N3

შესწავლით დადგინდა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში წარჩინებული სტუდენტებისთვის დაწესებული ყოველთვიური სტიპენდია ფორმალურად შეიცავს სტიპენდიებისთვის დამახასიათებელ ელემენტს - პერიოდულობა, თუმცა მისი შინაარსობრივი მოდელი არ არის თანხვედრაში სტიპენდიის სპეციფიკასთან, რადგან იგი ვრცელდება მხოლოდ პირველკურსელებზე და მისი მიღების ერთადერთი საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები.

მოქმედ მარეგულირებელ წესში არ არის გათვალისწინებული სტიპენდიებისთვის არსებითი კომპონენტები, მათ შორის: სტუდენტის მიმდინარე აკადემიური შედეგების (GPA) მონიტორინგი, ასევე სტიპენდიის გაგრძელების ან შეჩერების პირობები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესამოწმებელ პერიოდში სტიპენდიის დაბეგვრა არ ხორციელდებოდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შედარებითი ანალიზით დადგინდა, რომ სხვა მუნიციპალიტეტებში (მაგალითად, ქუთაისი და ფოთი) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებზე დაფუძნებული მხარდაჭერა

ერთჯერად მატერიალურ წახალისებად არის კლასიფიცირებული, ხოლო სტიპენდიების გაცემა ეფუძნება აკადემიურ პროგრესზე ორიენტირებულ კრიტერიუმებს.

რეკომენდაცია N5

რეკომენდირებულია შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა გადახედონ სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის იმ ნაწილს, რომელიც არეგულირებს გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების, სხვადასხვა სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებების, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევების თანადაფინანსებას, რადგან მოქმედი ერთნაირი თანადაფინანსების პრინციპი ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების განსხვავებული დონეების გათვალისწინებას.

მიზანშეწონილია, წესში განხორციელდეს ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღნიშნულ განსხვავებებზე ადეკვატურ რეაგირებას და სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვას. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების უფრო სამართლიან და ეფექტიან განაწილებას.

რეკომენდაცია N6

მიზანშეწონილია, შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა გადახედონ თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე (ჰემოდიალიზსა და პერიტონეულ დიალიზზე) დამოკიდებული მოქალაქეების დახმარების მოქმედ მოდელს და განიხილონ მისი გაუმჯობესების შესაძლებლობები. ბენეფიციართა ხარჯების რეგულარული ხასიათისა და საჭიროებების სპეციფიკის გათვალისწინებით მოახდინონ მოდელის მოდიფიცირება, ისე რომ დახმარება გახდეს პერიოდული და ბენეფიციართა რეალურ საჭიროებებზე მორგებული. ასეთი მიდგომა გააუმჯობესებს დახმარების ეფექტიანობას და შეამცირებს რესურსების არაეფექტიანი გამოყენების რისკს.

რეკომენდაცია N7

მიზანშეწონილია, რომ შესაბამისმა პირებმა გადახედონ ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისათვის ყოველთვიური სტიპენდია“ განხორციელების მოქმედ მოდელს, მიგნების ნაწილში აღნიშნული შეუსაბამობების გათვალისწინებით. შეფასების შედეგების საფუძველზე საჭიროა მკაფიოდ განისაზღვროს ქვეპროგრამის განხორციელების მოდელი და, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნას როგორც ქვეპროგრამის, ისე მისი განხორციელების წესის ისეთი სახით ჩამოყალიბება, რომ დასახელება, შინაარსი, მიზნები, გაცემის კრიტერიუმები და მექანიზმები თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან და გამოირიცხოს ფორმალურ-შინაარსობრივი შეუსაბამობები. ასევე უზრუნველყოფილ იქნას ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემული ფინანსური მხარდაჭერის დაბეგვრა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

2.1.5 ქვეკითხვა - როგორ არის უზრუნველყოფილი პროგრამის კოორდინაცია სახელმწიფო პროგრამებთან და იკვეთება თუ არა ფინანსური რესურსების დუბლიკაცია ან დაფინანსების გადაფარვა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს რესურსების არაეფექტიანი გამოყენება?

მიგნება N1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისთვის ყოველთვიური დახმარება შეადგენს 250 ლარს და გაიცემა ასაკობრივი დიფერენცირების გარეშე. ამავე დროს, სახელმწიფო პროგრამა ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის პირებს უზრუნველყოფს 200 ლარიანი კვების ვაუჩერით. აღნიშნულიდან გარემოებიდან გამომდინარე ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება არ არის კოორდინირებული შესაბამის სახელმწიფო პროგრამასთან. შედარებითი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტი იყენებს ასაკობრივი დიფერენცირების პრინციპზე დაფუძნებულ მოდელს: 18 წლამდე ასაკის პირებისთვის დახმარება შეადგენს 100 ლარს თვეში; 18 წლისა და უფროსი ასაკის პირებისთვის - 300 ლარს თვეში. აღნიშნული მიდგომა უკეთ უზრუნველყოფს სახელმწიფო პროგრამასთან კოორდინირებულ მხარდაჭერას და მუნიციპალიტეტის რესურსების მიზნობრივ განაწილებას.

მიგნება N2

ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარების" ფარგლებში გათვალისწინებულია შშმ 18 წლამდე ასაკის სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის სასმენი აპარატის შეძენა ღირებულებით, არაუმეტეს 1500 ლარისა. თუმცა, სახელმწიფო პროგრამა ასევე უზრუნველყოფს სმენადაქვეითებული პირებისთვის სასმენი აპარატების მიწოდებას, აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის დახმარება, რომელიც ითვალისწინებს შშმ 18 წლამდე ასაკის სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის სასმენი აპარატის შეძენას არ არის კოორდინირებული შესაბამის სახელმწიფო პროგრამასთან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2024 წელს აღნიშნული დახმარების გაცემის მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო თანხები საერთოდ არ არის გამოყენებული.

რეკომენდაცია N8

მიზანშეწონილია, შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა განახორციელონ ბიუჯეტის პროგრამაში ,,სოციალური პროგრამები" შემავალი ქვეპროგრამების შეფასება სახელმწიფო პროგრამებთან კოორდინაციის ჭრილში. შეფასების შედეგების საფუძველზე მოახდინონ ქვეპროგრამების კორექტირება, რათა თავიდან იქნას აცილებული დაფინანსების გადაფარვა. აგრეთვე მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინაციის მექანიზმი სახელმწიფო სტრუქტურებთან (სოციალური მომსახურების სააგენტო, ჯანდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო და სხვა). აღნიშნული ქმედებები ხელს შეუწყობს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების პროგრამების თავსებად და

ურთიერთშემავსებელ ფორმატში განხორციელებას და შეამცირებს დაფინანსების გადაფარვის რისკებს.

2.2 აუდიტის მეორე მიზანი (AO2) - კითხვა: პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია თუ არა მიზნებთან?

2.2.1 ქვეკითხვა - აქვს თუ არა პროგრამას ადეკვატური სისტემა პროგრამის ეფექტურობის გაზომვის, მონიტორინგისა და ანგარიშგებისათვის?

მიგნება N1

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ქვეპროგრამების ფარგლებში გაიცემა შინაარსობრივად და მიზნობრივად განსხვავებული დახმარებები, შედეგის შეფასების ინდიკატორის (ბენეფიციართა რაოდენობა) მიზნობრივი მაჩვენებლები 2025 წლისთვის განსაზღვრულია მხოლოდ ქვეპროგრამის საერთო დონეზე. მაგალითად, ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება" ფარგლებში გაიცემა 23 დახმარება, ხოლო შედეგის შეფასების ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი წარმოდგენილია საერთო რაოდენობით - 2100 ბენეფიციარი; ანალოგიურად, ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება" ფარგლებში გაიცემა 7 დახმარება, მაგრამ მისი ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი წარმოდგენილია საერთო რაოდენობით - 1750 ბენეფიციარი. ინდიკატორების ასეთი მიდგომით განსაზღვრა ზღუდავს პროგრამის შედეგზე ორიენტირებულ დაგეგმვას და შესრულების ობიექტურ შეფასებას.

მიგნება N2

შესწავლით დადგინდა, რომ ქვეპროგრამების ეფექტიანობის გაზომვისა და შეფასებისთვის არ არის შემუშავებული შესაბამისი ინდიკატორები. ასევე, პრაქტიკაში არ არის დანერგილი პროცესები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა ქვეპროგრამების მიმდინარე და საბოლოო შედეგების მონიტორინგს, ანალიზსა და შეფასებას.

მიგნება N3

შესწავლით დადგინდა, რომ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშები ზოგადი ხასიათისაა. მათში არ არის წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგების ანალიზი და მათი გავლენის შეფასება, განხორციელებული ღონისძიებების მიზნებთან შესაბამისობის შეფასება, ასევე პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები და გამოწვევები. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მოქმედი ანგარიშგების ფორმატი ვერ უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებული მართვისთვის საჭირო ანალიტიკურ ინფორმაციას.

რეკომენდაცია N9

მიზანშეწონილია, გადაიხედოს ქვეპროგრამების შედეგის შეფასების ინდიკატორებისა და მათი მიზნობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის არსებული პრაქტიკა და, შესაბამისი მსჯელობისა და დასაბუთების საფუძველზე, დაინერგოს უფრო მკაფიო და დიფერენცირებული მიდგომა, მათ შორის, ინდიკატორ(ებ)ის მიზნობრივი მაჩვენებლები განისაზღვროს არა მხოლოდ ქვეპროგრამის საერთო დონეზე, არამედ მის ფარგლებში შემავალი განსხვავებული დახმარებების სპეციფიკის გათვალისწინებით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამგვარი ცვლილება გააუმჯობესებს შედეგებზე ორიენტირებულ დაგეგმვას და უზრუნველყოფს შესრულების უფრო ობიექტურ და ზუსტ შეფასებას.

რეკომენდაცია N10

მიზანშეწონილია, შემუშავდეს ქვეპროგრამების ეფექტიანობის გაზომვის ინდიკატორები, რომლებიც ადეკვატურად ასახავს მათი განხორციელების შედეგებსა და გავლენას მიზნობრივი ჯგუფების მდგომარეობაზე. ასევე რეკომენდირებულია შემუშავდეს და დაინერგოს პროცესები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეპროგრამების მიმდინარე და საბოლოო შედეგების მონიტორინგს, ანალიზსა და შეფასებას. ასეთი მიდგომა გააძლიერებს პროგრამის შედეგებზე ორიენტირებულ მართვას და ხელს შეუწყობს ფინანსური რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაცია N11

რეკომენდირებულია, რომ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა განახორციელოს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშების ფორმატის გაუმჯობესება ისე, რომ ანგარიშები მოიცავდეს შედეგებზე ორიენტირებული მართვისთვის საჭირო ანალიტიკურ ინფორმაციას. ანგარიშებში უნდა აისახოს შემდეგი საკვანძო კომპონენტები:

- განხორციელებული ღონისძიებების მიზნებთან შესაბამისობის შეფასება;
- მიღწეული შედეგების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი (რამდენად და რა ხარისხით იქნა მიღწეული დაგეგმილი შედეგები) და ამ შედეგების შესაბამისობა დასახულ მიზნებთან;
- მიღწეული შედეგების გავლენის შეფასება - როგორ აისახა განხორციელებული ღონისძიებები სამიზნე ჯგუფებზე და პროგრამის მიზნების მიღწევაზე;
- გამოწვევების, ხარვეზებისა და გაუმჯობესების საჭიროებების ანალიზი, ასევე წარმატებული პრაქტიკების იდენტიფიცირება და შემდგომი განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა.

2.2.2 ქვეკითხვა - არსებული აქტივობები და პროცესები ეფექტურად ეხმარება თუ არა მიზნების რეალიზაციას?

მიგნება N1

„მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსების" ქვეპროგრამის ფარგლებში მედიკამენტების შესაძენად ფინანსდებიან მძიმე დაავადებების მქონე პირები. მოქმედ მარეგულირებელ წესში ტერმინი „მძიმე დაავადება" გამოყენებულია ზოგად კონტექსტში და არ არის წარმოდგენილი მისი განმარტება, კერძოდ, რომელი დაავადებები ან კონკრეტული დიაგნოზები იგულისხმება, რაც ზრდის გადაწყვეტილების მიღების პროცესში სუბიექტურობის და განსხვავებული ინტერპრეტაციის რისკებს. ასევე არ არის განსაზღვრული ერთ ბენეფიციარზე გასაცემი დაფინანსების ოდენობის საორიენტაციო ლიმიტი. დახმარების გაცემის პროცესში არ გამოიყენება ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფდა ბენეფიციარების განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების გათვალისწინებას. შედარებითი ანალიზით დადგინდა, რომ სხვა მუნიციპალიტეტებში (მაგალითად, ქუთაისი) მსგავსი დახმარებების გაცემის პროცესში ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ერთად გათვალისწინებულია ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები, რაც უკეთ პასუხობს სოციალური სამართლიანობის პრინციპს.

მიგნება N2

მოქმედ მარეგულირებელ წესში არ არის განსაზღვრული მექანიზმები მედიკამენტების შესაძენად მძიმე დაავადებების მქონე პირების დახმარების მედიკამენტების სახელმწიფო პროგრამასთან კოორდინაციის უზრუნველსაყოფად.

მიგნება N3

არსებული პრაქტიკის მიხედვით, მძიმე დაავადებების მქონე პირებისთვის მედიკამენტების შეძენის მიზნით სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია ბენეფიციართათვის დახმარების ოდენობას ინდივიდუალური განხილვის საფუძველზე განსაზღვრავს. თუმცა, სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესში ან ცალკე დოკუმენტის სახით არ არის განსაზღვრული აღნიშნული კომისიის უფლებამოსილებები, კომისიის წევრების უფლებები და ვალდებულებები, სხდომების მოწვევისა და ჩატარების წესი, კომისიის მიერ საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების წესი, გადაწყვეტილებების დასაბუთების პროცედურა, სხდომის ოქმების შედგენისა და დოკუმენტირების მოთხოვნები, მიღებული გადაწყვეტილებების არქივირებისა და შენახვის პროცედურები, კომისიის სხდომის ოქმებზე, მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე უფლებამოსილი პირების წვდომის პროცედურები, კომისიის წევრებისთვის ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პროცედურები (პრაქტიკაში კომისიის წევრები სხდომის ოქმში აფიქსირებენ ინტერესთა კონფლიქტის არარსებობას), გამონაკლისი შემთხვევების განხილვის წესი,

კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე საჩივრის განხილვის წესი, კომისიის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მექანიზმები.

მიგნება N4

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარების გაცემის პროცესში არ გამოიყენება ბენეფიციართა შერჩევის მკაფიო კრიტერიუმები. მოქმედი წესის მიხედვით, დახმარება გაიცემა ზოგადი ფორმულირების საფუძველზე - „მძიმე სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე" და/ან „ოჯახებზე, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას" . განსაზღვრული არ არის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ინდიკატორები, ბენეფიციართა შერჩევის პრიორიტეტები, დახმარების მიღების მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი. შედარებითი ანალიზით დადგინდა, რომ რუსთავის მუნიციპალიტეტში მსგავსი დახმარების ბენეფიციართა შერჩევა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტული თანმიმდევრობით, ხოლო ქუთაისის მუნიციპალიტეტში - კონკრეტული სამიზნე ჯგუფების მიხედვით.

მიგნება N5

სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესში ან ცალკე დოკუმენტის სახით არ არის განსაზღვრული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარების მიზნით სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისიის უფლებამოსილებები, კომისიის წევრების უფლებები და ვალდებულებები, სხდომების მოწვევისა და ჩატარების წესი, კომისიის მიერ საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების წესი, გადაწყვეტილებების დასაბუთების პროცედურა, სხდომის ოქმების შედგენისა და დოკუმენტირების მოთხოვნები, მიღებული გადაწყვეტილებების არქივირებისა და შენახვის პროცედურები, კომისიის სხდომის ოქმებზე, მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე უფლებამოსილი პირების წვდომის პროცედურები, კომისიის წევრებისთვის ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პროცედურები (პრაქტიკაში კომისიის წევრები სხდომის ოქმში აფიქსირებენ ინტერესთა კონფლიქტის არარსებობას), გამონაკლისი შემთხვევების განხილვის წესი, კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე საჩივრის განხილვის წესი, კომისიის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მექანიზმები.

მიგნება N6

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარების მიზნით სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისიის სხდომის ოქმებში ფიქსირდება მოთხოვნა, რომ ბენეფიციარებმა დახმარების მიღების შემდეგ წარმოადგინონ შეძენილი ნივთების მიღება-ჩაბარების აქტები და გადახდილი თანხის ქვითრები, რაც მიუთითებს შესაბამისი კონტროლის

ელემენტის პრაქტიკულ არსებობაზე. თუმცა აღნიშნული მოთხოვნა სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესით ან სხვა მარეგულირებელი დოკუმენტით არ არის განსაზღვრული, რის გამოც იგი არ წარმოადგენს დადგენილ სავალდებულო მოთხოვნას. ასევე არ არის განსაზღვრული მონიტორინგისა და შემდგომი შემოწმების მექანიზმები, მაგალითად, დახმარების მიზნობრივი გამოყენების ფაქტობრივი დადასტურების მიზნით ბენეფიციართა მიერ შეძენილი ნივთების ადგილზე ნახვისა და ფოტოდადასტურების (დასურათების) განხორციელების პროცედურები.

მიგნება N7

ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება"-ის ფარგლებში ხორციელდება დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F 84.0-F 84.9) და სხვა გონებრივი ჩამორჩენილობების ჯგუფის (F- 78.0-78.9) დიაგნოზის მქონე 2 დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსება. აღნიშნული სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების პროცესი არ ეფუძნება პრიორიტეტიზაციის მექანიზმს. ასევე არ არის დადგენილი მომლოდინეთა სიის ფორმირების, განახლებისა და მართვის წესი. გარდა ამისა, არ არის განსაზღვრული მერის მიერ ბენეფიციარისთვის გაცემული წერილის გაუქმების (ბენეფიციარის სტატუსის შეწყვეტის) საფუძვლები და შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურა.

მიგნება N8

საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F 84.0-F 84.9) და სხვა გონებრივი ჩამორჩენილობების ჯგუფის (F- 78.0-78.9) დიაგნოზის მქონე ბავშვების სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების მიმღებ ბენეფიციართა ასაკობრივი ზღვარი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განისაზღვრება 2-დან 15 წლამდე, მაშინ როცა ქუთაისისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მსგავსი ქვეპროგრამების ბენეფიციართა ასაკობრივი ზღვარი განსაზღვრულია 2-დან 18 წლამდე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დაწესებული ასაკობრივი ზღვარი ზღუდავს თერაპიის უწყვეტობას მოზარდობის ასაკში და არ ითვალისწინებს ბენეფიციართა განვითარების პროცესის გაგრძელების საჭიროებას, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს სარეაბილიტაციო შედეგების მდგრადობაზე.

მიგნება N9

საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F 84.0-F 84.9) და სხვა გონებრივი ჩამორჩენილობების ჯგუფის (F- 78.0-78.9) დიაგნოზის მქონე 2 დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების სარეაბილიტაციო მომსახურება ფინანსდება ერთ ბენეფიციარზე თვეში, არა უმეტეს 420 ლარის ოდენობით, თუმცა მოქმედ წესში აღნიშნული სარეაბილიტაციო მომსახურების მოცულობა და ფორმატი

განსაზღვრული არ არის, კერძოდ, დადგენილი არ არის თერაპიის სახეობების ჩამონათვალი (მაგალითად, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, მეტყველების თერაპია, ოკუპაციური/სენსორული თერაპია და სხვა), კონკრეტული თერაპიული მომსახურების სეანსების/სესიების რაოდენობა ან მათი რაოდენობრივი განაწილების პრინციპი სეანსების/სესიების საერთო რაოდენობაში, სეანსების /სესიების საერთო რაოდენობა და ერთი სეანსის/სესიის ხანგრძლივობა. ასევე არ არის განსაზღვრული თერაპიის სახეობებისა და სეანსების/სესიების რაოდენობის ბენეფიციარის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების მექანიზმი, რაც ზღუდავს მომსახურების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.

მიგნება N10

საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F 84.0-F 84.9) და სხვა გონებრივი ჩამორჩენილობების ჯგუფის (F- 78.0-78.9) დიაგნოზის მქონე 2 დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსება ხორციელდება ფაქტობრივი ხარჯის საფუძველზე (არაუმეტეს თვეში 420 ლარის ოდენობით), მაშინ როდესაც მომსახურების ერთეულის (სეანსის/სესიის) ფასი წინასწარ განსაზღვრული არ არის. შესწავლით დადგინდა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ერთ სეანსზე ანაზღაურებს 30 ლარს, მაშინ როცა სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსი ქვეპროგრამების ფარგლებში მომსახურების ერთეულის (სეანსის/სესიის) ღირებულება უფრო დაბალია: რუსთავში - 21 ლარი, ქუთაისში - 22.5 ლარი.

მიგნება N11

მოქმედ წესში განსაზღვრული არ არის ის კრიტერიუმები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F 84.0-F 84.9) და სხვა გონებრივი ჩამორჩენილობების ჯგუფის (F- 78.0-78.9) დიაგნოზის მქონე 2 დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების სარეაბილიტაციო მომსახურების მიმწოდებელი. სხვა მუნიციპალიტეტების (ქუთაისი, რუსთავი) პრაქტიკის მიხედვით, მსგავსი ქვეპროგრამების ფარგლებში სარეაბილიტაციო მომსახურების მიმწოდებლის მიმართ დაწესებულია მინიმალური მოთხოვნები, მათ შორის - სპეციალისტების გამოცდილება, შესაბამისი კვალიფიკაცია, მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობა და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

მიგნება N12

მოქმედ წესში საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F 84.0-F 84.9) და სხვა გონებრივი ჩამორჩენილობების ჯგუფის (F- 78.0-78.9) დიაგნოზის მქონე 2 დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების ანგარიშგების მექანიზმი ნაკლებად დეტალიზებულია და ვერ უზრუნველყოფს კონტროლის სათანადო დონეს, წესის

თანახმად, მომსახურების მიმწოდებლის მიერ საანგარიშგებოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახული უნდა იყოს: 1. მოსარგებლის და მისი კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი. 2. ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ სეანსების რაოდენობისა და ასანაზღაურებელი თანხის თაობაზე. 3. ანგარიშფაქტურა. თუმცა, წესით განსაზღვრული არ არის ბენეფიციარების მიერ მიღებული სეანსების/სესიების რაოდენობის დადასტურების მექანიზმი, კერძოდ, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით დამტკიცებული შემთხვევათა რეესტრის წარდგენის ვალდებულება. აღნიშნული პრაქტიკა გამოიყენება ქუთაისისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში და უზრუნველყოფს ანგარიშგების სიზუსტისა და გამჭვირვალობის დამატებით გარანტიას. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მიმწოდებლებმა ფაქტობრივად წარმოადგინეს სპეციალისტის ვიზიტის აღრიცხვის ფორმა, რომელიც მოიცავს მშობლის ხელმოწერას, თუმცა ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნა წესით განსაზღვრული არ არის, მას არ აქვს სავალდებულო ხასიათი. გარდა ამისა, წესში არ არის გაწერილი შესრულებული სამუშაოს შესახებ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის გადამოწმებისა და ხარვეზების აღმოფხვრის პროცედურა.

რეკომენდაცია N12

მიზანშეწონილია, გადაიხედოს და განახლდეს სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს მედიკამენტების შეძენასთან დაკავშირებულ ფინანსურ დახმარებას, შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- მკაფიოდ განისაზღვროს ტერმინ „მძიმე დაავადების" განმარტება - შესაბამისი დაავადებებისა და დიაგნოზების ჩამონათვლით ან ასეთი შემთხვევების განსაზღვრისთვის საჭირო კრიტერიუმების ფორმირებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ტერმინის ერთგვაროვანი და ობიექტური გამოყენება;
- დადგინდეს დახმარების გაცემის ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფს ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების განსხვავებულ დონეებზე სათანადო რეაგირებას და სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვას;
- გაიწეროს მედიკამენტების სახელმწიფო პროგრამასთან კოორდინაციის მექანიზმები;
- დადგინდეს ერთ ბენეფიციარზე წლიურად გასაცემი დაფინანსების მაქსიმალური ზღვარი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ჩამოყალიბდეს ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსების განაწილების დამატებითი, ზოგადი პრინციპები.

რეკომენდაცია N13

მიზანშეწონილია, გადაიხედოს და განახლდეს სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარებას, შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით: განისაზღვროს ბენეფიციართა შერჩევის მკაფიო კრიტერიუმები, მათი

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ინდიკატორები, ბენეფიციართა შერჩევის პრიორიტეტები, დახმარების მიღების მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, ასევე დახმარების მიზნობრივი გამოყენების დოკუმენტური დადასტურების და შემდგომი მონიტორინგის მექანიზმები.

რეკომენდაცია N14

მიზანშეწონილია, შემუშავდეს და დამტკიცდეს როგორც მძიმე დაავადებების მქონე პირებისთვის მედიკამენტების შეძენის მიზნით სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისიის, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარების მიზნით სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესი. აღნიშნულ წესებში უნდა განისაზღვროს კომისიის უფლებამოსილებები, კომისიის წევრების უფლებები და ვალდებულებები, სხდომების მოწვევისა და ჩატარების წესი, კომისიის მიერ საკითხების განხილვის და გადაწყვეტილებების მიღების წესი, გადაწყვეტილებების დასაბუთების პროცედურა, სხდომის ოქმების შედგენისა და დოკუმენტირების მოთხოვნები, მიღებული გადაწყვეტილებების არქივირებისა და შენახვის პროცედურები, კომისიის სხდომის ოქმებზე, მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე უფლებამოსილი პირების წვდომის პროცედურები, კომისიის წევრებისთვის ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პროცედურები, გამონაკლისი შემთხვევების განხილვის წესი, კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე საჩივრის განხილვის წესი; კომისიის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მექანიზმები.

რეკომენდაცია N15

გადამუშავდეს/განახლდეს სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F 84.0-F 84.9) და სხვა გონებრივი ჩამორჩენილობების ჯგუფის (F- 78.0-78.9) დიაგნოზის მქონე ბავშვების სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსებას, შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- განხილულ იქნას დახმარების გაცემის პროცესში პრიორიტეტიზაციის კრიტერიუმების შემუშავების მიზანშეწონილობა და, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დადგინდეს შესაბამისი კრიტერიუმები საჭიროების სიმძიმის, ჯანმრთელობის მდგომარეობის სპეციფიკის, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით.
- გაიწეროს ბენეფიციარის სტატუსის შეწყვეტის (გაუქმების) საფუძვლები და შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურა.
- დადგინდეს მომლოდინეთა სიის შექმნის, განახლებისა და მართვის პროცედურები.
- მკაფიოდ განისაზღვროს სარეაბილიტაციო მომსახურების მოცულობა და ფორმატი, მათ შორის: თერაპიის სახეობების ჩამონათვალი, კონკრეტული თერაპიული

მომსახურების სეანსების/სესიების რაოდენობა ან მათი რაოდენობრივი განაწილების პრინციპი სეანსების/სესიების საერთო მოცულობაში, სეანსების/სესიების საერთო რაოდენობა და ერთი სეანსის/სესიის ხანგრძლივობა, ასევე თერაპიის სახეობებისა და სეანსების/სესიების რაოდენობის ბენეფიციარის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების მექანიზმი.

- განისაზღვროს მომსახურების ერთეულის (სეანსის/სესიის) ფიქსირებული ფასი.
- დადგინდეს ის კრიტერიუმები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მომსახურების მიმწოდებელი. აღნიშნული კრიტერიუმები და მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და შეიძლება მოიცავდეს: სპეციალისტების გამოცდილებას, შესაბამის კვალიფიკაციას, მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობას და საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.
- გაიწეროს ანგარიშგების მექანიზმი უფრო დეტალური და სტრუქტურირებული ფორმით. რეკომენდირებულია, აღნიშნული მექანიზმი მოიცავდეს მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებას - ყოველი ბენეფიციარისთვის წარმოადგინოს მიღებული სესიების/სეანსების რაოდენობის თაობაზე მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ხელმოწერებით დადასტურებული დოკუმენტი, ასევე შესრულებული სამუშაოს შესახებ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის გადამოწმებისა და ხარვეზების აღმოფხვრის პროცედურას.

ასევე მიზანშეწონილია განხორციელდეს ბენეფიციართა ასაკობრივი ზღვრის არსებული პრაქტიკის შეფასება და მისი შედარება სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილებასთან. შეფასების შედეგების საფუძველზე, შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა მიიღონ გონივრული და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელშიც სათანადოდ იქნება გათვალისწინებული ბენეფიციართა საჭიროებები.

2.2.3 ქვეკითხვა - პროგრამით მიღწეული შედეგები რამდენად შეესაბამება წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებსა და მიზნობრივ მაჩვენებლებს?

მიგნება N1

ქვეპროგრამების შედეგების შეფასების ინდიკატორების მიზნობრივი და ფაქტობრივი მაჩვენებლების შედარებით გამოვლინდა გადახრები, რომლებიც რიგ შემთხვევაში აღემატება დადგენილ დასაშვებ ზღვარს (ცდომილების ალბათობა), კერძოდ:

- 2024 წელს ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება" (პროგრამული კოდი - 06.02.07) შედეგის შეფასების ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი იყო 1750 ბენეფიციარი, ფაქტობრივი კი 2289 ბენეფიციარი (ფაქტობრივი გადახრა +539 ბენეფიციარი, დასაშვები გადახრა ±50 ბენეფიციარი),
- 2024 წელს ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის

გაუმჯობესებისათვის“ (პროგრამული კოდი 06 02 03) შედეგის შეფასების ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი იყო 250 ბენეფიციარს, ფაქტობრივი კი 179 ბენეფიციარი (ფაქტობრივი გადახრა -71 ბენეფიციარი, დასაშვები გადახრა ±20 ბენეფიციარი).

უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება“ (პროგრამული კოდი - 06.02.07) ბიუჯეტი გაიზარდა 57.5%-ით (700 000 ლარიდან 1 102 600 ლარამდე), ხოლო ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“ (პროგრამული კოდი 06 02 03) ბიუჯეტი შემცირდა 44%-ით (130 000 ლარიდან 72 700 ლარამდე), მიუხედავად ამისა, შესაბამისი ცვლილებები ინდიკატორების მიზნობრივ მაჩვენებლებში არ განხორციელებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს რისკი, რომ ქვეპროგრამების (პროგრამული კოდები - 06.02.07 და 06.02.03) შედეგების შეფასება ინდიკატორების მიხედვით სათანადოდ ვერ ასახავს რეალურად მიღწეულ შედეგებს.

მიგნება N2

შესწავლით დადგინდა, რომ 2024 წელს ქვეპროგრამების შედეგების შეფასების ინდიკატორების მიზნობრივ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული გადახრების მიზეზები და განმარტებები დოკუმენტურად არ არის დაფიქსირებული, რაც ართულებს გადახრების გამომწვევი მიზეზების ანალიზს და მიღწეული შედეგების ობიექტურ შეფასებას.

რეკომენდაცია N16

მიზანშეწონილია, დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეპროგრამების შედეგების შეფასების ინდიკატორების მიზნობრივ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის შესაბამისობის მონიტორინგს, ასევე ინდიკატორების მიზნობრივი მაჩვენებლების კორექტირებას იმ ცვლილებების შესაბამისად, რომლებიც გავლენას ახდენს ქვეპროგრამების შესრულებაზე. ასეთი მიდგომა გააუმჯობესებს ქვეპროგრამის შესრულების შეფასების სიზუსტეს, გაზრდის შედეგების სანდოობას და ხელს შეუწყობს შედეგებზე ორიენტირებული მართვის გაძლიერებას.

რეკომენდაცია N17

მიზანშეწონილია, დაინერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეპროგრამების შედეგების შეფასების ინდიკატორების მიზნობრივ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული გადახრების გამომწვევი მიზეზების ანალიზს და შესაბამისი წერილობითი განმარტებების მომზადებას. ასეთი მიდგომა გააუმჯობესებს ქვეპროგრამების შესრულების კონტროლის ხარისხს, გაზრდის შედეგების სანდოობასა და გამჭვირვალობას.

2.2.4 ქვეკითხვა - პროგრამის შედეგები უზრუნველყოფს თუ არა ბენეფიციართა ცხოვრების ხარისხის / სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გრძელვადიან გაუმჯობესებას?

მიგნება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამა „სოციალური პროგრამები", რომელიც მოიცავს სხვადასხვა ქვეპროგრამასა და მათ ფარგლებში განსაზღვრულ დახმარებებს, ძირითადად ორიენტირებულია ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დროებით დაკმაყოფილებაზე და მოკლევადიანი ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე. პროგრამის მოქმედი სტრუქტურა ნაკლებად მოიცავს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც ხელს შეუწყობდა ბენეფიციართა დახმარებაზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და თვითუზრუნველყოფის უნარის ზრდას.

დახმარებების ხასიათიდან გამომდინარე პროგრამის გავლენა ძირითადად მოკლევადიანია და ხშირ შენთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის მდგრად გაუმჯობესებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არ არსებობს შედეგების შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემდა მუნიციპალიტეტს შეეფასებინა პროგრამის რეალური გავლენა ბენეფიციართა ცხოვრების ხარისხზე და შედეგების შენარჩუნების დონე გრძელვადიან პერიოდში.

რეკომენდაცია N18

შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა განიხილონ და შეაფასონ ბიუჯეტის პროგრამა „სოციალური პროგრამების" არსებული სტრუქტურა, შედეგიანობა და ხარჯთ-სარგებლიანობა. შეფასების შედეგების საფუძველზე სათანადო დასაბუთებით დაგეგმონ და ეტაპობრივად განახორციელონ ცვლილებები, რომლებიც მიმართული იქნება ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის გრძელვადიანი გაუმჯობესებისკენ, ასევე სოციალური მხარდაჭერის სისტემის უფრო მდგრად, შედეგზე ორიენტირებულ და ეფექტიან მოდელზე გადასვლისკენ.

მიზანშეწონილია ახალი ტიპის დახმარებების დანერგვა ან/და არსებული დახმარებების მოდიფიცირება და შევსება ისეთი კომპონენტებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ბენეფიციართა თვითუზრუნველყოფის უნარის განვითარებას, დახმარებაზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას (მაგალითად, პროფესიული გადამზადება, დასაქმების ხელშეწყობა, მცირე გრანტები და სხვ.) და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის მდგრად გაუმჯობესებას.

2.2.5 ქვეკითხვა - რამდენად საკმარისია პროგრამის ცნობადობის ამაღლებისა და მოსახლეობის ინფორმირების გაზრდის კუთხით გატარებული ღონისძიებები?

მიგნება N1

შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარებების შესახებ ინფორმაცია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის PDF დოკუმენტის სახით. განსხვავებით სხვა მუნიციპალიტეტებისგან (მაგალითად, ქუთაისის მუნიციპალიტეტი), სადაც ვებ-გვერდზე მოქალაქეს ინტერაქტიული ნავიგაციის საშუალებით შეუძლია აირჩიოს კონკრეტული სოციალური ქვეპროგრამა, გაეცნოს მის აღწერას, კონკრეტული დახმარებების მიღების პირობებს და შესაბამის საკონტაქტო ინფორმაციას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი სისტემატიზებული და ადვილად მოსაძებნი ფორმით, არ არსებობს მულტისაფეხურიანი ნავიგაციის ფორმატი და არ არის მითითებული შესაბამისი სამსახურის ან პასუხისმგებელი პირის/პირების საკონტაქტო ინფორმაცია.

გარდა ამისა, შესამოწმებელ პერიოდში პროგრამის ცნობადობის ამაღლებისა და მოსახლეობის ინფორმირების გაზრდის მიზნით არ გამოიყენებოდა ისეთი დამატებითი საინფორმაციო არხები და ფორმატები - როგორიცაა საინფორმაციო ბუკლეტები, თემატური შეხვედრები მოსახლეობასთან, პრეზენტაციები და ა.შ. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდების არსებული ფორმა საჭიროებს უფრო ინტეგრირებული, მრავალარხიანი და სისტემატიზებული კომუნიკაციის მექანიზმების განვითარებას.

რეკომენდაცია N19

მიზანშეწონილია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა მართვის განყოფილებასთან თანამშრომლობით, გააძლიეროს პროგრამის ცნობადობის ამაღლებისა და მოსახლეობის ინფორმირების მექანიზმები. დაინტერესებულ პირებს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დროულად, ამომწურავად და სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით, მათზე მორგებული ფორმით. ასევე მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარებების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უფრო სისტემატიზებული ფორმით და მიეთითოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის /პირების საკონტაქტო ინფორმაცია. გარდა ამისა, რეკომენდირებულია, დაინერგოს მულტისაფეხურიანი ნავიგაციის ფორმატი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციაზე უფრო მარტივ და სწრაფ წვდომას და გააუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას.

დასკვნა:

შიდა აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტორული შემოწმების მიზანი იყო შეეფასებინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამა ,,სოციალური პროგრამები" ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის კუთხით.

ჩატარებული ინტერვიუების, დოკუმენტების შესწავლის, გამოყენებული სხვა ტექნიკებით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის და ურთიერთშედარების შედეგად ნათელია, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში გვხვდება მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიც შეეხება პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და ანგარიშგების ეტაპზე განხორციელებულ აქტივობებს. შესაბამისად, აუდიტის შედეგები აჩვენებს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის ,,სოციალური პროგრამები" განხორციელების პროცესში შეინიშნება გარკვეული ასპექტები, რომლებიც საჭიროებს გაძლიერებას, რათა კონტროლის ღონისძიებებმა უკეთ უზრუნველყონ ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის მიზნების მიღწევა.

პროცესთან დაკავშირებული რისკების შემცირებისთვის და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულება, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი შიდა კონტროლის გარემოს ჩამოყალიბებას და შიდა კონტროლის სხვა კომპონენტების - კონტროლის ღონისძიებები, ინფორმაცია და კომუნიკაცია, მონიტორინგი და შეფასება - გაძლიერებას.

➢ აუდიტის ობიექტი N2

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი."

მიგნებები და რეკომენდაციები

1 ფინანსური ოპერაციების მართვა

1.1 საგადახდო ოპერაციების განხორციელების პროცესში გამოვლენილი შეუსაბამობები

მიგნება N1

შესწავლით დადგინდა, რომ 2024 წლის 24 იანვარს, №59 საგადახდო მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა 343.25 ლარის გადარიცხვა, რომლის დანიშნულებად განისაზღვრა ელექტროენერგიის ხარჯის დაფარვა, ხოლო მიმღებად - სს „ენერგო პრო ჯორჯია". საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ელექტრონულ მომსახურების სისტემაში აღნიშნული საგადახდო მოთხოვნის საფუძვლად ატვირთული იყო სს „ენერგო პრო ჯორჯიას" მიერ გაცემული შესაბამისი ანგარიშფაქტურა, ხოლო ვალდებულების დოკუმენტში (2024 წლის №2) მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო კოდად ასევე მითითებული იყო ხსენებული კომპანიის მონაცემები. მიუხედავად ამისა, აღნიშნული თანხა ფაქტობრივად ჩაირიცხა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" საბანკო ანგარიშზე, ვინაიდან საგადახდო მოთხოვნის ფორმირების ეტაპზე მითითებული იყო სწორედ აღნიშნული კომპანიის საბანკო რეკვიზიტები. ამავდროულად გამოვლინდა, რომ წყალმომარაგების მომსახურებისთვის (2023 წლის დეკემბრის თვე) მიმდინარე გადასახდელი თანხა შეადგენდა 118 ლარს, რაც ადასტურებს თანხის ზედმეტად ჩარიცხვის ფაქტს. შემოწმებით დადგინდა, რომ მომდევნო თვეების განმავლობაში წყალმომარაგების მომსახურებაზე ანგარიშსწორება არ განხორციელებულა და ზედმეტად გადახდილი თანხა ფაქტობრივად იქნა ჩათვლილი შემდგომი პერიოდების გადასახდელებში.

2024 წლის 29 იანვარს, №110 საგადახდო მოთხოვნის საფუძველზე, სს „ენერგო პრო ჯორჯიას" ჩაერიცხა 343.25 ლარი. აუდიტის ობიექტის განმარტებით, აღნიშნული თანხა წარმოადგენდა 2023 წლის დეკემბრის თვეში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებას, თუმცა, საგადახდო მოთხოვნის საფუძვლად სისტემაში ატვირთული იყო 289 ლარის ღირებულების ანგარიშფაქტურა, გაცემული 2023 წლის ნოემბრის თვეში მოხმარებული ელექტროენერგიაზე, რომელიც გადახდის მომენტისთვის უკვე სრულად იყო დაფარული.

აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ ორგანიზაციაში სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი ფინანსური ოპერაციების წინასწარი და შემდგომი კონტროლის მექანიზმები, რაც ზრდის ფინანსური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ რისკებს.

რეკომენდაცია N1

აუდიტის ობიექტმა საბიუჯეტო სახსრების გონივრული მართვისა და ფინანსური ოპერაციების სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია:

- საგადახდო მოთხოვნის მომზადებისას უზრუნველყოს მიმღების რეკვიზიტების, გადასახდელი თანხის, გადახდის დანიშნულებისა და წარმოდგენილი საფუძვლის (პირველადი დოკუმენტები) ურთიერთთანხვედრა და მონაცემთა სიზუსტის სათანადო კონტროლი, ამასთან, საგადახდო ოპერაციის ინიცირებამდე განხორციელდეს ანგარიშსწორების საფუძვლების შინაარსობრივი და თანხობრივი შეჯერება ფაქტობრივ გარემოებებთან, რათა თავიდან იქნას აცილებული შეუსაბამო ან/და არასწორი ანგარიშსწორების განხორციელება.
- შეიმუშაოს და დანერგოს შეუსაბამოდ /არასწორად განხორციელებული გადახდების მართვის ზოგადი წესი. აღნიშნული წესი უნდა ითვალისწინებდეს გამოვლენილ შეუსაბამობებზე ადეკვატურ რეაგირებას სათანადო დოკუმენტური დასაბუთებითა და საბიუჯეტო სახსრების გონივრული მართვის პრინციპის დაცვით, ასევე შესაბამისი ფინანსური ოპერაციების ასახვას ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.2 ფინანსური ოპერაციების აღრიცხვისა და კორექტირების პროცესში გამოვლენილი შეუსაბამობები

მიგნება N1

ა(ა)იპ-ის მმართველის 2024 წლის 01 აპრილის №13 ბრძანების საფუძველზე, სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს Covid-19-ის პროგრამის ფარგლებში დაუბრუნდა 369 ლარი. შესწავლით დადგინდა, რომ შესაბამისი ხელშეკრულების ფარგლებში, სსიპ თითოეული ნიმუშის აღებისთვის ა(ა)იპ-ს ურიცხავდა 3 ლარს, საიდანაც თანხის წილობრივი განაწილება (2 ლარი - თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე, ხოლო 1 ლარი - საწვავის ხარჯზე) დადგენილი იყო თავად ა(ა)იპ-ის მიერ.

2023 წელს, 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდთან დაკავშირებით, გაფორმდა ახალი მიღება-ჩაბარების აქტები შემცირებული თანხით - სხვა მიზეზებით გამოწვეული დარღვევის საფუძვლით, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დგინდება კონკრეტულად რა სახის დარღვევა გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარემოებები 2022-2023 წლებს ეხება, ისინი განხილულ იქნა აუდიტის ფარგლებში, რადგან თანხის დაბრუნება ფაქტობრივად 2024 წელს (შესამოწმებელ პერიოდში) განხორციელდა.

აუდიტის ობიექტის განმარტებით, დაბრუნებული თანხა Covid-19-ის პროგრამის საწვავის ხარჯებიდან მიღებული ეკონომია იყო, თუმცა ეს ფაქტი არ დასტურდება პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციით. დაწესებულებაში არ ხორციელდებოდა პროგრამის ფარგლებში გამოყენებული საწვავის გამიჯვნა სხვა საქმიანობისთვის

დახარჯული საწვავისგან, რის გამოც შეუძლებელია პროგრამაზე გაწეული საწვავის ფაქტობრივი ხარჯის დადგენა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება განხორციელდა 2022 წლის პირველადი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე. მიუხედავად მიღება-ჩაბარების მონაცემების კორექტირების და თანხის დაბრუნებისა, ა(ა)იპ-ის მხრიდან დოკუმენტურად არ შეფასებულა მონაცემების კორექტირების გამომწვევი მიზეზები, ასევე არ განხორციელებულა მსჯელობა იმის შესახებ- აღნიშნული სხვაობა თანამშრომლებზე ზედმეტად გაცემულ ანაზღაურებას წარმოადგენდა თუ ეს იყო ორგანიზაციის საკუთარი სახსრებით დასაფარი ფინანსური შედეგი.

რეკომენდაცია N2

მიზანშეწონილია, აუდიტის ობიექტმა უზრუნველყოს დაბრუნებული თანხის - 369 ლარის საკითხის დეტალური განხილვა და სათანადო რეაგირება. კერძოდ:

- დადგინდეს და განისაზღვროს, აღნიშნული თანხა წარმოადგენდა თანამშრომლებზე ზედმეტად გაცემულ ანაზღაურებას (ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ფარგლებში), თუ ეს იყო დაწესებულების მიერ საკუთარი სახსრების ხარჯზე დასაფარი ფინანსური შედეგი;
- განხორციელდეს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი ბუღალტრული ასახვა და, საჭიროების შემთხვევაში, გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები ზედმეტად გაცემული თანხის დაბრუნებასთან ან ამოღებასთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოფილ იქნას განხილვის პროცესისა და მიღებული გადაწყვეტილების დოკუმენტური დასაბუთება (ოქმი, დასკვნა ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი).

რეკომენდაცია N3

მიზანშეწონილია, აუდიტის ობიექტმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებშიც დაწესებულება წარმოადგენს მომსახურების მიმწოდებელ მხარეს. კერძოდ:

- იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულების შინაარსიდან და პირობებიდან გამომდინარე არსებობს ამის ობიექტური საჭიროება, უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი შემოსავლებისა და ხარჯების მკაფიო გამიჯვნა ორგანიზაციის სხვა საქმიანობისთვის განკუთვნილი დაფინანსებისა და ამავე საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯებისგან;
- უზრუნველყოფილ იქნას სათანადო კონტროლი, რათა კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული ხარჯების დაფინანსება განხორციელდეს ამავე ხელშეკრულებიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში და თავიდან იქნას აცილებული სხვა რესურსების არამიზნობრივი გამოყენება.

რეკომენდაცია N4

აუდიტის ობიექტმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილ იქნას:

- პირველადი დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების აქტები და სხვა) გაფორმება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოსა და რეალური ოპერაციების ზუსტი ასახვით ;
- პირველად დოკუმენტებში მონაცემების ნებისმიერი დაზუსტების ან ცვლილების განხორციელება მხოლოდ გარემოებების ობიექტური შესწავლისა და სათანადო წერილობითი დასაბუთების საფუძველზე, ცვლილების ფორმის (კორექტირების აქტი, დამატებითი აქტი ან შესწორება და სხვა) მკაფიოდ განსაზღვრით;
- იმ შემთხვევებში, როდესაც პირველად დოკუმენტებში შეტანილი ცვლილება ან დაზუსტება გავლენას ახდენს დაწესებულების ფინანსურ მდგომარეობაზე, საკითხის სათანადო განხილვა, გამომწვევი მიზეზების შეფასება და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე - წარმოშობილ შეუსაბამობებზე რეაგირება და ბუღალტრული მონაცემების კორექტირება.

2 ქონების მართვა

2.1 ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

მიგნება N1

შესწავლით დადგინდა, რომ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში“ 2024 წელს აქტივების და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე არ განხორციელებულა:

- ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების, აგრეთვე განმარტებით შენიშვნებში ან/და საცნობარო ანგარიშებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასახული არასაბალანსო კატეგორიების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან შედარება,
- აქტივების შენახვის, ექსპლუატაციისა და დაცვის წესებისა და პირობების შემოწმება, არამატერიალური აქტივების გაუფასურებაზე შემოწმება,
- აღრიცხვასა და ანგარიშგებაში აღურიცხავი აქტივების/ვალდებულებების გამოვლენა და აღრიცხვა,
- აქტივების ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება და შესაძლო გაუფასურების დადგენა.

აუდიტის ობიექტის განმარტებით, ინვენტარიზაციის ჩაუტარებლობა გამოწვეული იყო დაწესებულებაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებით, რის გამოც ვერ მოხერხდა პროცესის ორგანიზება. აღსანიშნავია, რომ სარემონტო სამუშაოების არსებობა არ წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ინვენტარიზაციის გადავადების ან მისი გაუქმების საფუძველს.

რეკომენდაცია N5

ა(ა)იპ-მა უზრუნველყოს აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და მისი შედეგების აღრიცხვა-

ანგარიშგებაში ასახვა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე. ინვენტარიზაციის პროცესში კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა სავალდებულო პროცედურებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს შემდეგ საკითხებს: ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების, აგრეთვე განმარტებით შენიშვნებში ან/და საცნობარო ანგარიშებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასახული არასაბალანსო კატეგორიების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათი ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან შედარებას, აქტივების შენახვის, ექსპლუატაციისა და დაცვის წესებისა და პირობების შემოწმებას, არამატერიალური აქტივების გაუფასურებაზე შემოწმებას, აღრიცხვასა და ანგარიშგებაში აღურიცხავი აქტივების/ვალდებულებების გამოვლენასა და აღრიცხვას, აქტივების ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება და შესაძლო გაუფასურების დადგენას. აღნიშნული ხელს შეუწყობს აქტივების ფაქტობრივ მდგომარეობასა და სააღრიცხვო მონაცემებს შორის შეუსაბამობების, აგრეთვე აქტივების შენახვისა და ექსპლუატაციის პირობების დარღვევების დროულ გამოვლენას, ორგანიზაციის აქტივების დაცულობის ხარისხისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის სანდოობის გაუმჯობესებას.

2.2 საიჯარო ურთიერთობების მართვის პროცესში გამოვლენილი შეუსაბამობები

მიგნება N1

შესწავლით დადგინდა, რომ ა(ა)იპ-ის მიერ 2024 წლის 11 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე იჯარით გაცემულია ფართი, თუმცა ხელშეკრულების პირობებით არ არის განსაზღვრული კომუნალური მომსახურების (ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი) ხარჯების ანაზღაურების წესი. აღსანიშნავია, რომ საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის მიზნით მომზადებულ საკონსულტაციო აქტში ასევე არ არის მითითებული, მოიცავს თუ არა დადგენილი ღირებულება აღნიშნულ ხარჯებს. ზოგადი პრაქტიკის მიხედვით, საიჯარო ურთიერთობებში კომუნალური მომსახურების ხარჯების დაფარვა წარმოადგენს მოიჯარის ვალდებულებას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა პირობა არ არის დადგენილი. მიუხედავად ამისა, ფაქტობრივად აღნიშნული ხარჯების ანაზღაურებას ახორციელებდა ა(ა)იპ-ი. აღნიშნული გარემოება მიუთითებს საიჯარო ურთიერთობების ადმინისტრირების პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე და წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური და არარაციონალური გამოყენების რისკს.

მიგნება N2

ა(ა)იპ-სა და მოიჯარეს შორის 2024 წლის 11 ივლისს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების პირობებით წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრული იყო 1200 ლარით, ხოლო მისი გადახდა - წელიწადში ორჯერ, 600-ლარიანი შენატანებით. კერძოდ, პირველი შენატანი უნდა განხორციელებულიყო არაუგვიანეს 2024 წლის 25 სექტემბრისა, ხოლო მეორე - არაუგვიანეს 2024 წლის 25 დეკემბრისა.

შემოწმებით დადგინდა, რომ 2024 წლის განმავლობაში მოიჯარემ განახორციელა მხოლოდ ერთი გადახდა (600 ლარი) 12 დეკემბერს, რითაც დაარღვია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირველი საგადახდო ვადა (25 სექტემბერი), რაც შეეხება მეორე შენატანს, ხელშეკრულებით დადგენილი საგადახდო ვადის (25 დეკემბერი) დადგომის მიუხედავად, მოიჯარის მხრიდან შესაბამისი თანხის გადახდა არ განხორციელებულა. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საიჯარო ქირა სრულად არ იყო დაფარული და არსებობდა მიუღებელი საიჯარო შემოსავალი 600 ლარის ოდენობით. ამასთან, შემოწმების ფარგლებში მიღებული შემდგომი ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული გადახდა (600 ლარი), ფაქტობრივი ოდენობიდან გამომდინარე, ფარავს მხოლოდ 2024 წლის ბოლოსთვის არსებულ დავალიანებას. შესაბამისად, აღნიშნული გადახდით ვერ მოხდა 2025 წლის მიმდინარე ვალდებულების დაფარვა, რაც ადასტურებს, რომ მოიჯარის მხრიდან ადგილი აქვს გადახდების სისტემატურ დაგვიანებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დაკისრებას ან პასუხისმგებლობის სხვა ზომებს. ამასთან, კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებაზე მიუთითებს ადმინისტრაციული რეაგირების არარსებობაც, კერძოდ, ა(ა)იპ-ის მხრიდან არ განხორციელებულა ოფიციალური კომუნიკაცია (წერილობითი მოთხოვნა, გაფრთხილება) მოიჯარის მიერ სახელშეკრულებო ვადების სისტემატური დარღვევის საპასუხოდ.

რეკომენდაცია N6

აუდიტის ობიექტმა საიჯარო ხელშეკრულებებში მკაფიოდ და გონივრულად განსაზღვროს კომუნალური მომსახურების (ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი) ხარჯების დაფარვის წესი, რათა თავიდან იქნეს აცილებული პირობების განსხვავებული ინტერპრეტაცია და გამოირიცხოს მოიჯარის მიერ წარმოქმნილი ხარჯების ა(ა)იპ-ის მიერ ანაზღაურება. ამასთან, მიზანშეწონილია აღნიშნული პირობები ჩამოყალიბდეს მუნიციპალური ქონების მართვის დამკვიდრებული პრაქტიკისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური გამოყენების პრინციპების გათვალისწინებით.

რეკომენდაცია N7

აუდიტის ობიექტმა უზრუნველყოს საიჯარო ხელშეკრულებებში ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმებისა და პასუხისმგებლობის ზომების (მათ შორის, პირგასამტეხლოს ან სხვა სანქციების) განსაზღვრა. ამასთან, გააძლიეროს კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების (მათ შორის, გადახდის ვადების დარღვევის) გამოვლენისას, უზრუნველყოს დროული და დოკუმენტირებული რეაგირება (წერილობითი მოთხოვნა, გაფრთხილება) და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების პრაქტიკული გამოყენება.

3. საწვავის ხარჯვისა და ჩამოწერის პროცესში გამოვლენილი შეუსაბამობები

მიგნება N1

შესწავლით დადგინდა, რომ ა(ა)იპ-ს არ აქვს დადგენილი მსუბუქი ავტომანქანის (სახ. ნომერი NN573WW) საწვავის ხარჯვის ნორმა ყოველ 100 კმ-ზე. ამასთან, არ ხორციელდებოდა ავტოსატრანსპორტო საგზაო ფურცლების წარმოება, არ აღირიცხებოდა განვლილი მანძილი (ოდომეტრის მაჩვენებლები), გადაადგილების მარშრუტი და კონკრეტული დანიშნულება (შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია), შესაბამისად, საწვავის ჩამოწერა არ ხდებოდა განვლილი მანძილისა და დადგენილი საწვავის ხარჯვის ნორმების მიხედვით.

რეკომენდაცია N8

საწვავის გამოყენებასთან დაკავშირებით აუდიტის ობიექტმა უნდა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები საწვავის ხარჯვის დოკუმენტური დასაბუთებისა და შიდა სააღრიცხვო პროცედურების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ:

- მსუბუქი ავტომანქანის (სახ. ნომერი: NN573WW) ტექნიკური მახასიათებლებისა და ექსპლუატაციის სპეციფიკის გათვალისწინებით, დამტკიცდეს საწვავის ხარჯვის ნორმა/ნორმები ყოველ 100 კმ-ზე;
- დაინერგოს ავტოსატრანსპორტო საგზაო ფურცლების სავალდებულო წარმოების პრაქტიკა, რომლის ფარგლებში დეტალურად აისახოს განვლილი მანძილი (ოდომეტრის მაჩვენებლები), გადაადგილების მარშრუტი და კონკრეტული დანიშნულება (შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია);
- საწვავის ჩამოწერა განხორციელდეს განვლილი მანძილისა და დადგენილი საწვავის ხარჯვის ნორმის/ნორმების საფუძველზე.

აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება უზრუნველყოფს საწვავის ფაქტობრივი ხარჯვის დოკუმენტურ დასაბუთებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ფინანსური მონაცემების სანდოობის ამაღლებასა და არამიზნობრივი ხარჯვის რისკების შემცირებას.

4. სახელმწიფო შესყიდვების მართვა

4.1 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესში გამოვლენილი შეუსაბამობები

მიგნება N1

შესწავლით დადგინდა, რომ ა(ა)იპ-ს არა აქვს განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესი და ფორმა. შესაბამისად, 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა არ იყო ყოფილა დამტკიცებული უფლებამოსილი პირის შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ელექტრონული გეგმის Eplan მოდულში წარდგენილია დაგვიანებით - 2024 წლის 09 იანვარს.

იგნება N2

შესწავლით დადგინდა, რომ გამარტივებული შესყიდვები რიგ შემთხვევებში (მაგალითად: CMR240180254; CMR240172206; CMR240165094; CMR240121147) განხორციელდა შესყიდვების წლიურ გეგმაში რეგისტრაციის გარეშე.

მიგნება N3

შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში განხორციელებული აქტივობები და სამუშაოები დოკუმენტირებული არ არის, რის შედეგადაც გეგმის შემუშავების პროცესი არ არის მიკვლევადი და ვერ დგინდება, თუ რა საფუძვლით, ანალიზითა და შეფასებით განისაზღვრა ორგანიზაციის საჭიროებები და შესაბამისი შესყიდვები. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესში დანერგილი კონტროლის მექანიზმების სისუსტიდან გამომდინარე, შესამოწმებელ პერიოდში არ იყო უზრუნველყოფილი ორგანიზაციის საჭიროებების/მოთხოვნების და მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების სათანადო შეფასება, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელება.

რეკომენდაცია №9

ა(ა)იპ-მა შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს:

- სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების პროცედურების წარმართვას სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით;
- სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესის და ფორმის განსაზღვრას, აღნიშნული წესის შესაბამისად მის დამტკიცებას და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გეგმის მოდულში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარდგენას; შესყიდვების გეგმასთან შეუსაბამობის რისკების შესამცირებლად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.
- კონტროლის მექანიზმების და ინსტიტუციური მეხსიერების გაძლიერების მიზნით შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში განხორციელებული აქტივობების სათანადო დოკუმენტირებას და დაარქივებას.

მიგნება N1

შესამოწმებელ პერიოდში შესყიდვების განხორციელებამდე ა(ა)იპ-ის მიერ ბაზრის კვლევის ჩატარება დოკუმენტურად არ დასტურდება, ვინაიდან ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული და, ამასთანავე, აუდიტის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, აუდიტის ფარგლებში ვერ დადგინდა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის დოკუმენტირებული საფუძვლის არსებობა და ვერ დადასტურდა, რომ ფასის ფორმირება ეფუძნებოდა საბაზრო მონაცემებს. აღნიშნულ პირობებში ასევე ვერ დადგინდა, თუ რა ალტერნატიული მიმწოდებლები/შემოთავაზებები იქნა განხილული, რამდენად კონკურენტულ გარემოში

განხორციელდა შესყიდვა და რამდენად ოპტიმალურად განისაზღვრა ხელშეკრულების პირობები (მიწოდების ვადები, საგარანტიო პირობები, გადახდის პირობები და სხვ.) ზემოთაღნიშული გარემოებები მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესში დანერგილი კონტროლის მექანიზმების სისუსტის გამო, შესამოწმებელ პერიოდში არ იყო უზრუნველყოფილი განსახორციელებელი შესყიდვების მოსამზადებელი სამუშაოების სათანადო წარმართვა. სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის გარეშე განხორციელება ზრდის შესყიდვის ობიექტის ღირებულების არასწორად დაანგარიშების, საბაზრო პირობებთან შეუსაბამო ფასის დადგენის, ხელშეკრულების არახელსაყრელი პირობების ფორმირების, საბაზრო პირობების არასათანადო გათვალისწინებისა და საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური და არარაციონალური გამოყენების რისკს.

რეკომენდაცია N10

ა(ა)იპ-მა შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფს:

- ცალკეული შესყიდვისათვის ინდივიდუალურად მოსამზადებელი სამუშაოების ჯეროვნად წარმართვას, რაც მოიცავს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებისა და ხელშეკრულების პირობების (მიწოდების ვადები, საგარანტიო და გადახდის პირობები და ა.შ.) განსაზღვრის მიზნით ბაზრის კვლევის ჩატარებას, რომლის ფარგლებში ხორციელდება პოტენციური მიმწოდებლებისა და შემოთავაზებების იდენტიფიცირება და განხილვა და კონკურენტული გარემოს შეფასება;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით;

აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვას, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებისა და ხელშეკრულების პირობების დასაბუთებულ განსაზღვრას, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდას და ინსტიტუციური მეხსიერების გაძლიერებას.

მიგნება N1

შესწავლით დადგინდა, რომ შესყიდვების განხორციელებისას მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირ(ებ)ის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული არ არის.

რეკომენდაცია N11

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირ(ებ)ის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

4.2 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრის პროცესში გამოვლენილი შეუსაბამობები

მიგნება N1

შესწავლით დადგინდა, რომ გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულების პირობებში არ არის განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, რაოდენობა და ერთეულის ფასი. აღნიშნული გარემოება ზღუდავს შესყიდვის შედეგების წინასწარ მკაფიოდ განსაზღვრის შესაძლებლობას და ქმნის რისკს, რომ განხორციელებული შესყიდვის შედეგად ა(ა)იპ-მა ვერ მიიღოს სასურველი და მოსალოდნელი შედეგი. კერძოდ, არსებობს რისკი, რომ შესყიდული საქონელი ან მომსახურება არ შეესაბამებოდეს ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებს. ამასთან, ერთეულის ფასის წინასწარი განსაზღვრის გარეშე იზრდება არარაციონალური და არაეკონომიური ხარჯვის, მათ შორის საბაზრო პირობებთან შეუსაბამო (მაღალი) ფასის გადახდის რისკი.

რეკომენდაცია N12

აუდიტის ობიექტმა პრაქტიკაში დანერგოს კონტროლის ქმედითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოების სათანადოდ წარმართვას და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში ტექნიკური, რაოდენობრივი და ფინანსური პარამეტრების სრულყოფილად განსაზღვრას. აღნიშნული მექანიზმების დანერგვა ხელს შეუწყობს შესყიდვის მიზნების მიუღწევლობისა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკების შემცირებას.

მიგნება N1

შესამოწმებელ პერიოდში ა(ა)იპ-ის მიერ გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში პირგასამტეხლოს პირობები ხშირ შემთხვევაში (მაგალითად: CMR240048900; CMR240059110; CMR240048412; CMR240034046; CMR240098993; CMR240096646; CMR240072219) განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში - ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით; ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით; ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით. ამასთან, ზოგიერთ ხელშეკრულებაში (მაგალითად: CMR240031210; CMR240099175) გათვალისწინებული არ არის პირგასამტეხლო. პირგასამტეხლო წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას, რომლის მიზანია ვალდებულებების შეუსრულებლობის პრევენცია და მხარის დანაკარგების კომპენსირება, პროპორციულობის (თანაზომიერების) და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად, პირგასამტეხლოს ოდენობა შესაძლებელია განისაზღვროს შემდეგი ზღვრული მაჩვენებლების ფარგლებში: ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში - ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით; ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში - დარჩენილი ვალდებულების ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით; ვადაგადაცილების შემთხვევაში -

ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით. ა(ა)იპ-ის მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლოს პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება სააგენტოს მიერ რეკომენდებული ზღვრული მაჩვენებლებისგან. კერძოდ, ვალდებულების სრულად და ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქმედი 0.2%-იანი ოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება სააგენტოს მიერ დასაშვებ ზღვრულ მაჩვენებლებს, ხოლო ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში დადგენილი 0.2%-იანი დღიური პირგასამტეხლო აღემატება სააგენტოს მიერ რეკომენდებულ ზღვრულ მაჩვენებელს (0.02% დღიურად). დაბალი ოდენობის პირგასამტეხლოსა და რიგ ხელშეკრულებებში მისი არარსებობის პირობებში იზრდება შემდეგი რისკები: ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი; ხელშეკრულების პირობების დარღვევით გამოწვეული დანაკარგების არასათანადო კომპენსაციის რისკი; ვალდებულებების დაგვიანებით, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების რისკი; ორგანიზაციის ინტერესების დარღვევის რისკი (დროული მიწოდება, ხარისხი, მომსახურების უწყვეტობა და სხვ.).

მიგნება N2

შესწავლით დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში (მაგალითად: CMR240048412; CMR240096623; CMR240048900) ადგილი ჰქონდა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულებას. კერძოდ, მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის მიხედვით, საქონლის/მომსახურების ფაქტობრივი მოწოდება განხორციელდა ხელშეკრულებით დადგენილი ვადების დარღვევით. მიუხედავად აღნიშნულისა, ა(ა)იპ-ის მხრიდან არ განხორციელებულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების (პირგასამტეხლოს) დარიცხვა და ამოღება. აღნიშნული მიუთითებს სახელშეკრულებო პირობების შესრულების კონტროლის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე.

რეკომენდაცია N13

აუდიტის ობიექტმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში უზრუნველყოს პირგასამტეხლოს გათვალისწინება ყველა შესაბამის ხელშეკრულებაში, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალების. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა განხორციელდეს პროპორციულობის (თანაზომიერების) და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. კერძოდ, პირგასამტეხლოს ოდენობა უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და საპირწონე, ხოლო მისი განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს პირგასამტეხლოსა და ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული შედეგების თანაფარდობა, მათ შორის: ვალდებულების დარღვევის სიმძიმე; დარღვევის მასშტაბი და პერიოდულობა; ვალდებულების დარღვევის შედეგად მოსალოდნელი ზიანი; სხვა ობიექტური გარემოებები. პირგასამტეხლოს ოდენობა უნდა უზრუნველყოფდეს ხელშეკრულების პირობების დარღვევით გამოწვეული შესაძლო დანაკარგების სათანადო კომპენსაციას. ამასთან, აუდიტის ობიექტმა, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს მექანიზმის პრაქტიკული გამოყენება.

მიგნება N1

რიგ შემთხვევებში (CMR240180254; CMR240175397 ; CMR240168792; CMR240165094; CMR240134280 ; CMR240121147; CMR240121141; CMR240112616; CMR240105498; CMR240096646; CMR240073206; CMR240048900; CMR240048423; CMR240032869; CMR240031213) ხელშეკრულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი ვადის მნიშვნელოვანი დარღვევით. აღნიშნული პრაქტიკა ზღუდავს ხელშეკრულებების შესრულების პროცესის ელექტრონულ სისტემაში დროულ და სათანადო ასახვას, მნიშვნელოვნად ასუსტებს მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობას და ზრდის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შემცირების რისკს.

მიგნება N2

რიგ შემთხვევებში (CMR240172206; CMR240106446; CMR240031210) ხელშეკრულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტები, ანგარიშფაქტურები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია) არ არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულებების შესრულების პროცესი სისტემაში სათანადოდ არ აისახება და ირღვევა ხელშეკრულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების სისტემაში ატვირთვის საკანონმდებლო მოთხოვნა. აღნიშნული პრაქტიკა ზღუდავს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მეშვეობით ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგისა და კონტროლის შესაძლებლობას და ზრდის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შემცირების რისკს.

მიგნება N3

შესამოწმებელ პერიოდში გაფორმებულ №7 (25.03.2024), №11 (16.04.2024) და №17 (17.07.2024) ხელშეკრულებებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მინიჭებული აქვთ „მიმდინარე ხელშეკრულების" სტატუსი, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოქმედების ვადა ამოწურულია (2024 წლის 31 დეკემბერი). შესწავლით დადგინდა, რომ აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში შესყიდვის ობიექტის მოწოდება არ განხორციელებულა. აღნიშნულის მიზეზად აუდიტის ობიექტმა განმარტა, რომ შემსყიდველს აღარ ჰქონდა შესყიდვის საჭიროება. თუმცა, შესყიდვის საჭიროების ცვლილება დოკუმენტურად არ არის დადასტურებული, მათ შორის ხელშეკრულებების შესაბამისი ცვლილების ამსახველი დოკუმენტებით ან სხვა ოფიციალური კორესპონდენციით. შესყიდვის საჭიროების ცვლილების შემთხვევაში აღნიშნული გარემოება უნდა ასახულიყო ხელშეკრულებებში შესაბამისი ცვლილების გზით, რაც არ განხორციელებულა. მიუხედავად აუდიტის ობიექტის განმარტებისა, რომ შესყიდვის საჭიროება დღის წესრიგში აღარ იდგა, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ხელშეკრულების ცვლილება ან შეწყვეტა, ოფიციალური მიმოწერა ან შიდა ადმინისტრაციული აქტი) არარსებობის პირობებში შეზღუდულია შესაძლებლობა ობიექტურად დადგინდეს, რატომ არ განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდება, კერძოდ - იყო თუ არა ეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით გამოწვეული საჭიროების ცვლილების შედეგი, თუ ადგილი ჰქონდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას და, შესაბამისად, არსებობდა ხელშეკრულებით

გათვალისწინებული პასუხისმგებლობის მექანიზმების, მათ შორის პირგასამტეხლოს, გამოყენების საფუძველი.

რეკომენდაცია N14

აუდიტის ობიექტმა უზრუნველყოს გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებების, ამ ხელშეკრულებების ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტების CMR-ში რეგისტრაცია ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. ასევე უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულების შესრულების /შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვა, საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციის ასახვა და ხელშეკრულებისთვის შესაბამისი სტატუსის („შესრულებული ხელშეკრულება" ან ,,შეუსრულებელი ხელშეკრულება") მინიჭება.

რეკომენდაცია N15

ა(ა)იპ-მა შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფს:

• შესყიდვის დაწყებამდე (ხელშეკრულების გაფორმებამდე) შესყიდვის საჭიროების სათანადო შესწავლასა და დასაბუთებას, რათა შესყიდვები განხორციელდეს რეალურ, დასაბუთებულ და დადასტურებულ საჭიროებებზე დაყრდნობით;

• სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების შესრულების ფაქტობრივი მიმდინარეობის სათანადო მონიტორინგი და მისი ხელშეკრულებით დადგენილ პირობებთან (მათ შორის, მიწოდების ვადებთან) შესაბამისობის კონტროლი.

• შესყიდვის საჭიროების ცვლილების ან სხვა ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში აღნიშნული გარემოების დროულად იდენტიფიცირებას და მათზე დროულ და ადეკვატურ რეაგირებას, სათანადო დასაბუთებითა და დოკუმენტური უზრუნველყოფით, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების ან მისი შეწყვეტის გზით;

• იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდვის ობიექტის მოწოდება არ ხორციელდება მიმწოდებლის მიზეზით, აღნიშნული გარემოებებისა და მიზეზების წერილობით დაფიქსირებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის მექანიზმების (მათ შორის პირგასამტეხლოს) გამოყენებისათვის შესაბამისი დოკუმენტური საფუძვლის უზრუნველყოფასა და აღნიშნულის საფუძველზე პასუხისმგებლობის მექანიზმების გამოყენებას.

5 შრომითი ურთიერთობების მართვა

5.1 შრომის ანაზღაურების პროცესში გამოვლენილი შეუსაბამობები

მიგნება N1

ა(ა)იპ-ის მმართველის 2024 წლის 23 დეკემბრის №56 ბრძანების შესაბამისად, განსაზღვრული იყო თანამშრომლებზე ფულადი ჯილდოს გაცემა ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს 80 პროცენტის ოდენობით. შესწავლით დადგინდა, რომ აღნიშნული ბრძანების შესრულებისას ფულადი ჯილდო თანამშრომლებზე გაიცა ბრძანებით განსაზღვრულ ოდენობაზე ნაკლები პროცენტული მაჩვენებლით, კერძოდ: ბუღალტერზე - თანამდებობრივი სარგოს 75.53%; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერზე - 75.9%; დამლაგებელზე - 75.95%; დანარჩენ თანამშრომლებზე - დაახლოებით 76.3%. აუდიტის ობიექტის განმარტებით, ფულადი ჯილდოს შემცირებული ოდენობით გაცემის მიზეზი იყო ფინანსური რესურსების არასაკმარისი მოცულობა. ამასთან, დადგინდა, რომ ბრძანებაში შესაბამისი ცვლილება არ განხორციელებულა. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ ფულადი ჯილდოს გაცემა არ იყო შესაბამისობაში მოქმედი ბრძანებით განსაზღვრულ პირობებთან და ასახავს გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი შესრულების პროცესში კონტროლის მექანიზმების სისუსტეს.

მიგნება N2

შესწავლით დადგინდა, რომ შესაბამისი ბრძანების საფუძველზე განსაზღვრული იყო ექიმ-ეპიდემიოლოგზე ფულადი ჯილდოს გაცემა თანამდებობრივი სარგოს 80 პროცენტის ოდენობით, რაც თანხობრივად შეადგენდა 1064 ლარს. თუმცა ფაქტობრივად მას საშემოსავლო გადასახადის დაქვითვის შემდეგ ჩაერიცხა 1624 ლარი, რის შედეგადაც ფულადი ჯილდო გაიცა ბრძანებით განსაზღვრულზე მეტი ოდენობით. ამავე დროს დადგინდა, რომ პარაზიტოლოგ-ლაბორანტს ფულადი ჯილდო არ ჩარიცხვია, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ბრძანების მიხედვით მასაც ეკუთვნოდა ფულადი ჯილდოს მიღება თანამდებობრივი სარგოს 80 პროცენტის ოდენობით. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ ფულადი ჯილდოს გაცემის პროცესში არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა როგორც ფულადი ჯილდოს ზედმეტ გაცემას, ასევე მის გაუცემლობას შესაბამის პირზე.

მიგნება N3

შესწავლით დადგინდა, რომ 2024 წლის 18 დეკემბერს განხორციელდა დეკემბრის თვის დანამატის ჩარიცხვა, კერძოდ: ა(ა)იპ-ის მმართველზე - 228 ლარის ოდენობით; ბუღალტერზე - 228 ლარის ოდენობით; ექიმ-ეპიდემიოლოგზე - 119.20 ლარის ოდენობით. ამავე დროს დადგინდა, რომ აღნიშნული დანამატების ჩარიცხვა განხორციელდა დოკუმენტურად დადასტურებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, კერძოდ, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის (ბრძანების) არარსებობის პირობებში. ამასთან, დოკუმენტურად არ დასტურდება დანამატის გაცემის კონკრეტული საფუძვლები

(ზეგანაკვეთური სამუშაო, დამატებითი ფუნქციები ან სხვა), რაც ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

რეკომენდაცია N16

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები, რათა ფულადი ჯილდოსა და დანამატის გაცემა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ფულადი ჯილდო და დანამატი გაიცეს მხოლოდ დოკუმენტურად დასაბუთებული საფუძვლების არსებობისას და სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე. გარდა ამისა, უზრუნველყოფილ იქნას ფულადი ჯილდოსა და დანამატის გაცემისას შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირობების დაცვა. ამასთან, მიზანშეწონილია, აუდიტის ობიექტმა იმსჯელოს ექიმ-ეპიდემიოლოგისა და პარაზიტოლოგ-ლაბორანტის მიმართ ფულადი ჯილდოს გაცემისას გამოვლენილ შეუსაბამობებზე და უზრუნველყოს მათი გამოსწორება მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი ბრძანების გათვალისწინებით.

მიგნება N1

შესამოწმებელ პერიოდში სამუშაო დროის აღრიცხვა ხორციელდებოდა აუდიტის ობიექტის მიერ შემუშავებული ფორმით, რომელიც არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ სამუშაო დროის აღრიცხვის წესს და არ მოიცავს ამ წესით დადგენილ მინიმალურ მონაცემებს, მაგალითად: პასუხისმგებელი პირის მიერ სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის შედგენის თარიღს; პირად ნომერს ან ტაბელის ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში; თვის განმავლობაში ნამუშევარი დღეების, ნამუშევარი საათების, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების, ღამით (22.00 დან 6.00 პერიოდი) ნამუშევარი საათების; დასვენების, უქმე დღეებში ნამუშევარი საათების; დისტანციურად ნამუშევარი საათების; გაცდენილი დღეების/საათების ჯამური რაოდენობა და ა.შ.

რეკომენდაცია №17

შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს სამუშაო დროის აღრიცხვის ისეთი ფორმა, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

5.2 თანამდებობრივ ინსტრუქციაში გამოვლენილი შეუსაბამობები

მიგნება N1

შესწავლით დადგინდა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 1 ივლისის №48.482418316 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ-ის საშტატო ნუსხაში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილება. კერძოდ, გაუქმდა ექიმ-ლაბორანტის, მედდა-ლაბორანტის, იურისტის, საფინანსო-ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოორდინატორისა და საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორის შტატები, ხოლო შეიქმნა ბუღალტრისა და სამედიცინო-სტატისტიკურ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის შტატები. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, ორგანიზაციის შტატების საერთო რაოდენობა 15-დან 12-მდე შემცირდა.

ა(ა)იპ-ის თანამდებობრივ ინსტრუქციაში აღნიშნული სტრუქტურული ცვლილება დროულად არ ასახულა, რის გამოც იგი არ შეესაბამებოდა მერის მიერ დამტკიცებულ ახალ საშტატო ნუსხას. აღნიშნული შეუსაბამობა გამოსწორდა და შესაბამისი ცვლილებები თანამდებობრივ ინსტრუქციებში განხორციელდა მხოლოდ 2025 წლის 10 დეკემბერს აუდიტორული შემოწმების მიმდინარეობისას.

გარდა ამისა, შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ 2024 წლის პირველ ივლისს ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელის შესაბამისი ბრძანებით, პირი დაინიშნა საფინანსო-ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოორდინატორის თანამდებობაზე. აღსანიშნავია, რომ მერის ბრძანებით, აღნიშნული შტატი დანიშვნის მომენტისთვის უკვე გაუქმებული იყო. აუდიტის ობიექტის განმარტებით, მომხდარი წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის შეცდომას და დასაქმებული პირი, რეალურად, ბუღალტრის თანამდებობაზე უნდა დანიშნულიყო.

მიგნება N2

შესწავლით დადგინდა, რომ მოქმედი თანამდებობრივი ინსტრუქცია სათანადოდ არ ასახავდა თანამშრომელთა მიერ ფაქტობრივად შესრულებულ ფუნქცია-მოვალეობებს, რის გამოც იგი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამებოდა ორგანიზაციის რეალურ საქმიანობას. კერძოდ: საშტატო ერთეულის დასახელების მიუხედავად, საფინანსო-ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოორდინატორის თანამდებობრივი ინსტრუქცია არ მოიცავდა შესყიდვების მართვასთან დაკავშირებულ ფუნქციებს. დოკუმენტური ჩანაწერი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირი ფაქტობრივად ასრულებდა შესყიდვების მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობას. ანალოგიური შეუსაბამობა გამოვლინდა საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორის შტატთან მიმართებით, სადაც ინსტრუქცია მხოლოდ საქმისწარმოებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის საკითხებს მოიცავდა. მასში ასახვის გარეშე იყო დარჩენილი ადამიანური რესურსების მართვის ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიცაა შრომითი ურთიერთობების ადმინისტრირება, თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება და საკადრო დოკუმენტაციის მართვა, რომლებსაც დასაქმებული პირი ფაქტობრივად ახორციელებდა.

ამასთან, შესწავლით დადგინდა, რომ თანამდებობრივი ინსტრუქცია მხოლოდ ფუნქცია-მოვალეობების აღწერით შემოიფარგლებოდა. დოკუმენტში არ იყო გაწერილი ისეთი აუცილებელი საკითხები, როგორიცაა: სამსახურებრივი უფლებამოსილებები და გადაწყვეტილების მიღების ფარგლები; პასუხისმგებლობა სამუშაო პროცესსა და შესრულებული საქმიანობის შედეგებზე; საკვალიფიკაციო მოთხოვნები (განათლება, სამუშაო გამოცდილება, სპეციფიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები); იერარქიული დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულების წესი; თანამშრომლის დროებითი არყოფნის შემთხვევაში ფუნქცია-მოვალეობების სხვა პირზე დაკისრების წესი; პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საშტატო ერთეულებისთვის, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავებასთან.

რეკომენდაცია N18

აუდიტის ობიექტმა უზრუნველყოს თანამდებობრივი ინსტრუქციის გადახედვა, განახლება და ორგანიზაციის ფაქტობრივ საქმიანობასა და თანამშრომელთა მიერ ფაქტობრივად შესრულებულ ფუნქცია-მოვალეობებთან შესაბამისობაში მოყვანა. თანამდებობრივი ინსტრუქცია უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ფუნქცია-მოვალეობების აღწერას, არამედ ისეთ აუცილებელ კომპონენტებს, როგორიცაა: სამსახურებრივი უფლებამოსილებები და გადაწყვეტილების მიღების ფარგლები; პასუხისმგებლობა სამუშაო პროცესსა და შესრულებული საქმიანობის შედეგებზე; საკვალიფიკაციო მოთხოვნები (განათლება, სამუშაო გამოცდილება, სპეციფიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები); იერარქიული დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულების წესი; თანამშრომლის დროებითი არყოფნის შემთხვევაში ფუნქცია-მოვალეობების სხვა პირზე დაკისრების წესი; პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებები. ამასთან, აუდიტის ობიექტმა უზრუნველყოს თანამდებობრივი ინსტრუქციის დროული განახლება იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება ცვლილებები საშტატო ნუსხაში და/ან ორგანიზაციულ სტრუქტურაში ან თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებში და უზრუნველყოს, რომ თანამდებობრივი ინსტრუქციები მუდმივად შესაბამისობაში იყოს მოქმედ საშტატო ნუსხასთან. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება ხელს შეუწყობს ფუნქციებისა და მოვალეობების მკაფიო განაწილებას, პასუხისმგებლობების განსაზღვრას, შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას და სამართლებრივი და ოპერაციული რისკების შემცირებას.

დასკვნა:

შიდა აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების მიზანი იყო შეეფასებინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“-ს მიერ 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში განხორციელებელი საქმიანობის პოლიტიკასთან, გეგმებთან, პროცედურებთან, მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება და შეფასება.

ჩატარებული ინტერვიუების, დოკუმენტების შესწავლის, გამოყენებული სხვა ტექნიკებით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის და ურთიერთშედარების შედეგად ნათელია, რომ სახელმწიფო შესყიდვების მართვის, ფინანსური ოპერაციების მართვის, ქონების მართვის, შრომის შრომითი ურთიერთობების, საინვენტარიზაციო, აგრეთვე საწვავის ხარჯვისა და ჩამოწერის პროცესში გვხვდება მთელი რიგი შეუსაბამობების ფაქტები. შესაბამისად, ა(ა)იპ-ში დანერგილი კონტროლის მექანიზმები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ განხორციელებული საქმიანობის პროცედურებთან, მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის მიზნების მიღწევას.

საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებისთვის და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი შიდა კონტროლის გარემოს ჩამოყალიბებას და შიდა კონტროლის სხვა კომპონენტების - კონტროლის ღონისძიებები, ინფორმაცია და კომუნიკაცია, მონიტორინგი და შეფასება - გაძლიერებას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი: /მ. თედორაძე/